პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ფასი 10,000 მან.

85 ოთხშაბათი, 19 აპრილი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 19 აპრილი 1922 წ. № 85

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს 19 აპრილს, დღის 1 საათზე
შესდგება საქართველოს კომპარტიის

თბილისის კომიტეტის ბიუროს სხდომა

ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი ლოლობერიძე.
(1—1)

პარასკევს, 21 აპრილს, დღის 12 საათზე, თბილისის კომიტეტის ბინაზე შესდგება საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების თათბირი პარტსკოლის ლექტორებსა, მდივნებსა და რაიკომების ორგანიზატორებთან ერთად

ამხანაგების დასწრება სავალდებულოა რადგანაც დღის წესრიგში დგას **მეტად მნიშვნელოვანი საკითხები.**

თ. კ. სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება.
(2—1)

პროპაგანდისტთა სკოლის შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან იხსნება ორთვიანი პროპაგანდისტების სკოლა (ლექციების სემინარიები) რუსულ ენაზე. **მიღების პირობები:**

მსმენელებათ მიიღებიან პარტიის წევრები 18-დან 35 წლამდის, რომელთაც აქვთ მცირეოდენი სააგიტაციო პროპაგანდისტული გამოცდილება და მომზადება შემდეგი წიგნების მიხედვით: 1. კომუნიზმის ანბანი, **ბუხარინისა**, 2. პირველ-დაწყებითი კურსი პოლიტიკურ ეკონომიისა (კითხვა-პასუხში) **ბოგდანოვისა**, 3. ერფურტის პროგრამა **კაუცკისა**.

მისაღები გამოცდები დაიწყება 25 აპრილს მეცადინეობა დაიწყება 2 მაისს.

ყველა კურსანტები იქნებიან სკოლის სრულ ხარჯზე.

იმ ამხანაგებს, რომელთაც სურთ სკოლაში შემოსვლა უნდა წარმოადგინონ რეკომენდაცია ქალაქისა და სამაზრო პარტ-კომიტეტების და ჩაეწერონ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის საპროპაგანდო ქვე-განყოფილებაში 25 აპრილამდის.

საქ. კომ. პარტ. ცენტ. კომ. საგიტ.-პროპ. განყოფილების გამგე

მე-11 ყრილობა და პარტიის ზოგიერთი ამოცანები

მრავალ მხრივაა საყურადღებო რ. კ. პ. მეთერთმეტე ყრილობის ნამუშევარი. იგი შეეხო მიმდინარე სინამდვილის ყველა მთავარ საჭირბოროტო საკითხებს, გააშუქა ისინი და სათანადო დადგენილება-რეზოლიუციები გამოიტანა. ჩვენ ამ ჟამად შევაჩერებთ ყურადღებას ყრილობის ავტორიტეტულ სიტყვაზე პარტიის ამოცანების შესახებ. განა თქმა უნდა, რომ ჩვენი პარტიის მდგომარეობაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული საბჭოთა სახელმწიფოს როგორც პოლიტიკურ, ისე სამეურნეო ცხოვრების სფეროში. ვიქნებით სუსტი, მერყევნი, დაქსაქსული, მოუმზადებელნი—ჩვენ მომავალს და, მაშასადამე, პროლეტარიატის საქმესაც, ჯვარი უნდა დაუსვათ. ვიქნებით მძლავრი, მტკიცენი შედუღებულნი, მომზადებულნი—ჩვენი და მუშათა კლასის მომავალი უზრუნველყოფილია და გამარჯვებული. პროლეტარიატის სახელმწიფოს განმტკიცების და მისი ეკონომიური აღორძინების ძირითადი პირობაა სიმტკიცე მუშათა კლასის მოწინავე რაზმის კომუნისტური პარტიისა, რომელიც მეთაურობს ამ სახელმწიფოს, ხელმძღვანელობს და მიმართულებას აძლევს მას. ამიტომაც იყო, რომ პარტიულ აღმშენებლობის და ამოცანების საკითხს დღევანდელ პირობებში ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და ამომწურავი რეზოლიუცია გამოიტანა მათ შესახებ.

ოთხნახევარ წლის განმავლობაში, ხელისუფლების სათავეში მოქცევის მომენტიდან, ფრიად არა ხელსაყრელი პირობები შეიქმნა პარტიის ნორმალურ განვითარებისათვის. განუწყვეტელმა სასტიკმა ომმა, რომლის წარმოება უხდებოდა პარტიას ამ ხნის განმავლობაში, გამობრძმედილ და საიმედო წევრების საგრძობი რაოდენობა შეიწირა. მეორე მხრივ, იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომით გამოწვეულ მრეწველობის და საერთოდ სამეურნეო ცხოვრების დანგრევასთან დაკავშირებით შეირყა კომუნისტური პარტიის ბაზა—სამრეწველო პროლეტარიატი, რომელშიც კოლოსალური მასშტაბით ხდებოდა დეკლასაციის პროცესი, მუშათა კლასის დიდი ნაწილი სამუშაო დაზგას ჩამოშორდა და სოფლისკენ გაეშურა, თვით ფაბრიკა-ქარხნების დარჩენილ მუშებში რამოდენიმედ შესუსტდა კომუნისტების ხელმძღვანელობა და გავლენა, ვინაიდან წარმოებაში ჩვენი მოწინავე ამხანაგების მნიშვნელოვანი მოწინავე ნაწილი მოსწყდა უშუალო მუშაობას და საბჭოთა დაწესებულებებმა შთანთქა. ამასთან ომებმა, რომელშიაც გამარჯვებისაკენ იყო მთელი ჩვენი ყურადღება და ენერგია მიქცეული, საშუალება არ მოგვცა სათანადოთ გვეზრუნა პარტიის წევრების კულტურულ აღზრდაზე: აღნიშნულ გარემოებებთან ერთად ადგილი ჰქონდა ერთ მოვლენას. ჩვენს მმართველ პარტიას, რომელიც ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას და ამიტომ არ შეეძლო თავისუფალი ორგანიზაციის საშუალება მიეცა საბჭოთა წყობილებისადმი მტრულად განწყობილი ჯგუფებისათვის,—მოაწყდა მრავალი უცხო ელემენტი, რომელნიც კარიერისტული და ანგარებითი მოტივებით მოდიოდნენ ან შეიძლება ერთდროს გულწრფელადაც სურდათ ჩვენთან მუშაობა, მაგრამ ვერ დაეძლიათ თავისი წვრილ-ბურჟუაზიული პსიქოლოგია, რითაც რღვევა და გახრწნა შეჰქონდათ პარტიულ მასსებში. ამ წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიის საშიშროება უფრო საგრძნობი შეიქნა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემოღების დროიდან, როცა ნაწილობრივ აღორძინდა კაპიტალისტური ურთიერთობა და ბურჟუაზიული გემოვნება და როცა კომუნისტებს უხდებათ ცხოვრება—მოღვაწეობა ქვეყნის შიგნითაც ბურჟუაზიულ—მეშჩანურ სულისკვეთებით გაჟღენთილ ატმოსფეროში. ასეთ გარემოებაში სრულიად უსაფუძლო არ არის შიში პარტიის შინაგანი ევოლიუციისა და პროლეტარულ ხასიათის დაკარგვის, აი ასეთია ზოგადად ის არა ხელსაყრელი საერთო ვითარება, რომელშიაც უხდება არსებობა და მოქმედება კომუნისტურ პარტიას. საჭირო იყო ამ გარემოებისათვის სერიოზული ანგარიშის გაწევა და ამისდამიხედვით დასახვა ახალი ამოცანების და გზების, რომელნიც ხელს შეუწყობდნენ პარტიის გაჯანსაღებას და განმტკიცებას. ჯერ კიდევ მე-11 ყრილობამდე მოხდა პარტიის გენერალური გაწმენდა უცხო და მავნე ელემენტებისაგან. პარტიამ შედარებით დამაკმაყოფილებლად მიაღწია ამ მიზანს და გადადგა დიდი ნაბიჯი პარტიის ერთფეროვანი მუშური შემადგენლობის შესაქმნელად. ერთ ფეროვანი კლასობრივი შემადგენლობა მთავარი პირობაა პარტიის მთლიანობის, სიმტკიცის, ჯანსაღობის; ამიტომაცაა, რომ ყრილობამ გამოიტანა დადგენილება, რომლითაც ფრიად გაძნელებულ იქნება შემდეგში პარტიაში ახალი წევრების, განსაკუთრებით არა პროლეტარულ წრეებიდან, შემოსვლა. პარტიის შემადგენლობის რაოდენობის ხარჯზე მისი თვისების და კულტურული ამაღლება—ესაა ყრილობის ერთი მთავარი დირექტივი. ლენინმა და მასთან მთელმა ყრილობამ მიმდინარე წელი და შემდეგი დროც გამოაცხადა პარტიისათვის სწავლების დროდ. სადავო არ არის, რომ ცოდნის სფეროში ჩვენ ბევრი რამ გვაკლია. და ეს სავსებით გასაგებია: დღევანდლამდე ჩვენ სწავლისათვის დრო და საშუალება არ გვქონია, თოფი გვეჭირა ხელში და სისხლს ვღვრიდით უამრავ ფრონტებზე. დღეს კი, როცა ამ სისხლით შედარებითი მშვიდობიანობა მოვიპოვეთ, ჩვენ სწავლას უნდა მოვკიდოთ ხელი ბეჯითად. ეს მით უმეტეს საჭიროა დღევანდელ მომენტში, როცა ჩვენ რთულ საღმშენებლო სამეურნეო მუშაობას ვეწევით და ამ ნიადაგზე გვიხდება გამოცდილ კაპიტალისტებთან შეჯიბრების ატანა. და შედეგი ამ შეჯიბრების იმაზეა დამოკიდებული, რამდენად შევსძლებთ ჩვენ ცოდნის და გამოცდილების შეძენას და აქ წმინდა კომუნისტურ კულტურის შეთვისებასთან ერთად, პარტსკოლების, მარქსისტულ წრეების, კლუბების და სხვა გზით, ჩვენ უნდა აღვიჭურვოთ სხვა და სხვა სპეციალური ცოდნით, რათა ჩვენმა ამხანაგებმა, რომელნიც ჩაბმულნი არიან სამეურნეო ორგანოების მუშაობაში, შეძლონ საქმის სასარგებლოდ და მიზანშეწონილად წარმართვა.

პარტიის შედარებითი კლასობრივ ერთ ფეროვანების მიღწევა და ამით დაცვა მისი იდეოლოგიურ და პსიქოლოგიურ მთლიანობისა, დაუზოგველი ბრძოლა მეშჩანურ ბურჟუაზიულ სტიქიასთან პარტიაში, პარტიის კარების დაკეტვა არა პროლეტარულ ელემენტებისათვის, პარტიის წევრების კომუნისტური შეგნების ამაღლება და ამასთან მისი შეიარაღება საჭირო სპეციალური ცოდნით—აი ზოგიერთი და მთავარი დირექტივები, რომელიც მე-XI ყრილობამ მოგვცა. პარტიის და ქვეყნის ინტერესები მოითხოვენ ამ დირექტივების შეურყევლად და ბეჯითად გატარებას ცხოვრებაში. და ჩვენი პარტიული ორგანოები ამას დაუყონებლივ შეუდგებიან და განახორციელებენ კიდეც.

ზაქარია ჩოდრიშვილი

(მებრძოლ-მოწამის ხსოვნას)

„. . . არა, არა: სულით არასოდეს არ დავცემულვარ და არც დავეცემი“.

ზ. ჩოდრიშვილის წერილიდან.

სწორედ 6 წლის წინედ, 1916 წლ. 3 აპრილს (ძვ. სტ.) ნიკოლაევის საკატორღო საპყრობილეში, ხანგრძლივი ტანჯვისა და წვალების შემდეგ, სრულ მარტოობაში ჭლექისაგან გარდაიცვალა მუშათა მოძრაობის ერთი პიონერთაგანი და ერთი ფრიად აქტიური მოღვაწეთაგანი მთელ ამიერკავკასიაში **მუშა ზაქარია (ზაქრო) ჩოდრიშვილი**, კომუნისტური პარტიის უხუცესი წევრის მიხა ჩოდრიშვილის უმცროსი ძმა.

ახალგაზრდა თაობამ და ჩვენი პარტიის წევრების უმრავლესობამ სრულიად არ იციან, თუ ვინ იყო ზ. ჩოდრიშვილი და როგორი დამსახურება მიუძღვის მას მუშათა კლასის წინაშე. მან ვერ მიაღწია თავისუფლების დღეებამდე, მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ეკუთვნის არალეგალურ ხანას, ამ იშვიათმა ადამიანმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა მუშათა კლასის საქმეს, ეს ცხოვრება მთლიანად ეკუთნოდა პროლეტარიატის პარტიას. ზაქარია ჩოდრიშვილი იყო პარტიის არა მარტო უბრალო წევრი, იგი იყო მისი არა მხოლოდ ფრიად აქტიური მოღვაწე და ხელმძღვანელი, იგი იყო სოციალიზმის ნამდვილი მოციქული, და ამასთან იგი იყო ფანატიკოსი, ვინაიდან მას არამც თუ სწამდა მუშათა კლასის განთავისუფლების საქმე, არამედ უკვე წინასწარ მთელი თავისი არსებით გრძნობდა და განიცდიდა ამ განთავისუფლებას, იმ მომენტშიაც კი, როცა იგი საკატორღო საავადმყოფოდან, სიკვდილის წინ, ჩიოდა რა თავის ძმის—მიხას წინაშე თავის უიმედო ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, რომელიც საბოლოოდ იყო შერყეული მძიმე ავადმყოფობით,—სწერდა მას წერილის ბოლოში:

„გთხოვ შენ, ძვირფასო ძმაო, ყველა ნათქვამიდან ნუ გამოიყვან დასკვნას თითქო მე დავეცი სულით და სასოწარკვეთილებაში მყოფი ვმსჯელობ სკეპტიკურად, **არა, არა:** არასოდეს არ დავცემულვარ სულით და არ დავეცემი“. და ამ რამოდენიმე სიტყვაში მოსჩანს მთელი ჩვენი ძვირფასი ზაქრო! რანაირიც გამოსჭედა იგი ჩვენმა ულმობელმა სინამდვილემ,—ძლიერი სულით, შეუდრეკელი ბედის მუხანათობის წინაშე,—ასეთი დარჩა იგი სიკვდილის კარამდე. იგი იყო ჭეშმარიტ პროლეტარულ მებრძოლის მთლიანი, სავსებით დამთავრებული ბუნების მატარებელი.

ზაქრო იყო პროლეტარულ ოჯახის შვილი (სიღნაღის მაზრის სოფელ ვაქირიდან), ჯერ კიდევ 6 წლის ბავშვი მოხვდება თბილისში, და მას პირველივე დღიდან აძლევენ თამბაქოს ფაბრიკაში. ამ დროიდან იგი სწყვეტს ყოველგვარ კავშირს სოფელთან და ხდება ნამდვილ ქალაქის მუშად, რომელიც მუშაობს ხან ფაბრიკებში, ხან სახელოსნოებში, ხან კიდევ რკინის გზაზე. მაგრამ ამავე დროს მასში იღვიძებს წყურვილი სწავლისადმი, იგი სწავლობს ჯერ საქალაქო, შემდეგ სახელოსნო სკოლაში და, მიუხედავად იმისა, რომ მძიმე შრომით უხდება ლუკმა პურის მოპოება, იგი აღწევს ამ დარგში საკმაოდ მნიშვნელოვან წარმატებას. ამ გვარად, ზ. ჩოდრიშვილი, ბუნებისაგან ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოვებული, ხდება თავის დროზე ერთი ყველაზე მოწინავე მუშათაგანი მთელს კავკასიაში. პირველ ნაბიჯებს რევოლიუციონურ სარბიელზე ის სდგამს წარსული საუკუნის 80 წლების ბოლოს,—ესაა მისი მონაწილეობა რკინის გზელთა გაფიცვაში 1889 წელს, რისთვისაც ის დათხოვნილ იქნა სახელოსნოებიდან, ამასთან იძულებული შეიქნა თბილისიდან გადახიზნულიყო. რა თქმა უნდა, ეს მოძრაობა იყო ჯერ მხოლოდ სტიქიური, ვინაიდან მუშათა კლასის არავითარი რევოლიუციონური ორგანიზაციები ჩვენში მაშინ კიდევ არ არსებობდა, თვით მუშათა კლასიც მაშინ ჩვენში ის იყო ისახებოდა. განსაკუთრებით სარკინიგზო საქმის ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, სანავთო მრეწველობის განვითარებასა და ზრდასთან დაკავშირებით.

მუშათა კლასიდან ამ დროს მხოლოდ ცალკე პიროვნებანი გამოდიოდნენ, როგორც „სამოროდკები“. ერთ ასეთ „სამოროდკოთაგანს“ წარმოადგენს ზ. ჩოდრიშვილი არაქელა ოქუაშვილისა და ზოგიერთ სხვა მუშებთან ერთად.

1894 წელში ამხ. ჩოდრიშვილი კვლავ ახერხებს თბილისში დაბრუნებას და შედის რკინის გზის დეპოში. ამ დროიდან რამოდენიმე ხნის შემდეგ, თბილისში ჩნდება ერთი მხრივ მუშათა წრეები, ხოლო მეორე მხრივ სოც.-დემ. ორგანიზაციების ჩანასახები. თბილისის მუშებიდან პირველნი მიემხრენ ამ მოძრაობას ზ. ჩოდრიშვილი, არ. ოქუაშვილი და გ. ჩხეიძე, ამასთან პირველი მათგანი ხდება სულის ჩამდგმელი ამ ახალ მოძრაობისა, რომელიც შემდეგ სწრაფად ძლიერდება, თავის გავლენის ქვეშ აქცევს თითქმის მთელ მუშათა კლასს და იხატება მუშების გაფიცვებში, მანიფესტაციებში, დემონსტრაციებში და სხ. ამასთან ერთად ძლიერდება პოლიტიკური ძიება, ჯაშუშობა და რეპრესიები. სხვებთან ერთად ზ. ჩოდრიშვილს იჭერენ და გადაასახლებენ ირკუტსკის გუბერნიაში; ერთი წლის შემდეგ იგი ბრუნდება საქართველოში სხვისი გვარით; აქ ის გაორკეცებული და გასამკეცებული ენერგიით შეუდგება პარტიულ მუშაობას, ცხოვრობს რა მეტ წილად ბათომში, ამასთან განხეთქილების შემდეგ რუსეთის სოც.-დემოკრატიაში, იგი იმთავითვე ეკედლება ბოლშევიკებს. 1906 წლის დასაწყისში იგი ჩამოდის თბილისში, 1908 წელს საიდუმლო სტამბის აღმოჩენის გამო, იგი იძულებული ხდება გამოიცვალოს საცხოვრებელი ადგილი, გადადის ბაქოში, მაგრამ აქაც შეიპყრეს ჟანდარმებმა, და მას მიუსაჯეს რვა წლის კატორღა. 1910 წ. მას აგზავნიან იაროსლავის საკატორღო საპყრობილეში; აქედან 1914 წელში იგი გადაყავთ ნიკოლაევის საკატორღო საპატიმროში, სადაც მოკვდა 1916 წლის 3 აპრილს. აი, მოკლედ, რამოდენიმე სიტყვით ცხოვრება ერთი საუკეთესო და უანგარო მუშა რევოლიუციონერთაგანისა, რომლის წარმოშობა შესძლო დღევანდლამდე საქართველოს სინამდვილემ. ჯერ კიდევ კატორგის მისჯამდე, ამხ. ჩოდრიშვილის ფიზიკური ჯანმრთელობა, არანორმალურ ცხოვრების გამო არალეგალობის დროს, იყო თითქმის საბოლოოდ შერყეული. კატორღა მოასწავებდა მისთვის ნამდვილ სიკვდილს, და ეს კარგად ესმოდათ მოსამართლე-ჯალათებს. არავის არ ჰქონდა იმედი, რომ ის ცოცხალი გამოვიდოდა საკატორღო საპყრობილედან, მიუხედავად ამისა უკანასკნელ თვემდე მან არამც თუ შეინარჩუნა მხნე განწყობილება და სულის სიმტკიცე, არამედ, იყო რა მძიმე ავადმყოფობისაგან საწოლზე მიკრული, საპყრობილედან გამოგზავნილ თავის წერილებში, იგი თვითონ ამხნევებს სხვებს, არწმუნებს მათ იმაში, რომ მალე უკეთესი დრო დადგება. მიუხედავად იმისა, რომ იგი უიმედო ავადმყოფი იყო, ხოლო კატორღის პირობებში არავითარი იმედი არ იყო ჯანმრთელობის გამოკეთებისა, მას მაინც აინტერესებს გადაჭრით ყველაფერი, პარტიულიც, პოლიტიკურიც, მეცნიერულიც და კულტურული საკითხებიც. თავის წერილებში იგი მოითხოვს, იგი ემუდარება თავის ძმას—მიხას, რათა მან შეატყობინოს მას შეძლებისდაგვარად ყველაფერი, პარტიის მდგომარეობაც, სამეცნიერო და სხვა ახალი ამბებიც, ითხოვს, რათა მას გაუგზავნონ, სხვათაშორის, მახის წიგნი „შეგრძნების ანალიზი“ და ბოგდანოვის—„ძირითადი ელემენტები ისტორიული შეხედულებისა ბუნებაზე“. მეორე წერილში, 1914 წლის, 9 ივნისის თარიღით, იგი სწერს თავის ძმას (მიხას): „თუ ძალიან საძნელო არ არი შენთვის, მაცნობე ხშირ-ხშირად ყველაფერი საჭირო და საინტერესო ჩემთვის. შენ ხომ იცი, რომ მე ფრიად მაინტერესებს ყველაფერი: ქალაქის გადაკეთებაც კი. როგორაა თქვენში, პოლიტეხნიკუმს და უნივერსიტეტს აშენებენ, თუ მარტო ერთ მათგანს“.

ძალიან კარგად ახასიათებს ზ. ჩოდრიშვილის განწყობილებას მისი წერილი 1913 წლის 9 მარტის თარიღით, სადაც ის ლაპარაკობს სისხლის მსმელ ნიკოლოზ რომანოვის მანიფესტზე რომანოვების მეფობის სამი საუკუნის შესრულების გამო. ამის გამო იგი დაუფარავი ირონიით სწერს თავის ძმას მიხას, რომელიც მაშინ ადმინისტრატიული წესით იყო გადასახლებული: „პირველად გისურვებ იყო ცოცხალი და ჯანმრთელი, თუმცა მანიფესტი, როგორც სჩანს, შენც არ გიმსუბუქებს სასჯელს, მაგრამ მე ვფიქრობ, **რომ არც ისეთი იმედი გვქონდა ამაზე**. ამასთან უნდა ვთქვა, **რომ უმისოდაც ცოცხალი ვარ და ჯანმრთელი ჯერ-ჯერობით** (ეს უკვე იყო მწვავე დაცინვა. ფ. მ.). ხოლო შემდეგ.. უეჭველად დადგება ზაფხული და სითბოს ვიგრძნობთ, როგორც მე, ისე შენც“... ეს იყო უკვე აშკარად ნათქვამი, სცემდე არა წარბში, არამედ პირდაპირ თვალში, მაგრამ საპყრობილეს ადმინისტრაციამ წერილი მაინც გაუშვა. მაგრამ უფრო საინტერესოა ჩვენთვის ის წერილები, რომლებშიაც ზ. ჩოდრიშვილი ეხება საქმეთა ვითარებას პარტიაში. ამ საკითხს ის უბრუნდება ძალიან ხშირად, მაგრამ აქ საჭირო იყო დიდი სიფრთხილე, რათა საქმეს და სხვებს არა ვნებოდა რა, ერთი სიტყვით, საჭირო იყო ლაპარაკი ნართაულად, სხვა და სხვა ხრიკებისათვის მიმართვა. და აი, პარტიისათვის მან გამოიგონა განსაკუთრებული ტერმინი „სამშობლაური“, რათა თვალები აებნია საპყრობილეს ადმინისტრაციისათვის. პირველ ყოვლისა აქ მოვიყვან ერთ ადგილს ზ. ჩოდრიშვილის წერილიდან, 1912 წ. 9 ივნისის თარიღით, რათა ნათელვყოთ, თუ როგორ აინტერესებდა ამ ადამიანს პარტია. „პატივცემულო მიხა—სწერს იგი თავის ძმას, გადაეცი უმდაბლესი სალამი **სამშობლაურს**. გულის სიღრმიდან უსურვებ მას ბედნიერ წარმატებას თავის საქმეში. და უნდა გამოგიტყდე, რომ მე ფრიად მაინტერესებს, თუ როგორ ცხოვრობს ის თავის ოჯახით. როცა მე თბილისიდან მოვდიოდი, მან აღმითქვა ყოფილიყო გონიერი და გაეკეთებია ბევრი რამ კარგი მომავალში თავისი ბავშვებისათვის, ე. ი. **მოემზადებოდა თვითონ კარგად და ასევე მოამზადებდა თავის მემკვიდრეებს მკაცრ ბუნებასთან საბრძოლველად ცხოვრებაში**. არ ვიცი, რამდენად შეასრულა თავის სიტყვები. ალბად, მან, როგორც არა დამოუკიდებელმა კაცმა, რომელიც სხვების ამყოლ დამყოლია, დაიწყო აგრეთვე ცეკვა სხვის დუდუკზე, ჩვეულებრივად, როგორც ხდებოდა წინედ“... (ხაზგასმული, იგულისხმება, ყველგან ჩვენია. ფ. მ.)

უნდა ვიფიქროთ, რომ ციხის ადმინისტრაცია, რომლის ხელში გადიოდა ეს წერილები, ან ნამდვილად უგუნური იყო, ან და პირდაპირ შეგნებულად არ აქცევდა ყურადღებას ამ წერილებს, თორემ ხომ ყოველი ცოტად თუ მაინც გონიერი კაცი მიხვდებოდა, თუ რაზეა იქ ლაპარაკი. ზემოდ მოყვანილ სიტყვებში ზ. ჩოდრიშვილი ახასიათებდა და ამასთან კიცხავდა სახელდობრ **მენშევიკურ პარტიას**, რომელიც მაშინ გაბატონებული იყო ჩვენში და რომელმაც იმ დროისთვის უკვე მოასწრო გამოეჩინა თავი, როგორც მუშათა კლასის გამყიდველს და მოღალატეს.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ზაქრო ისევ აწუხებს თავის ძმას კითხვებით „სამშობლაურის“ შესახებ: „შენ რატომ არ მწერ ან ძალიან ცოტას ლაპარაკობ სამშობლაურზე“ ეკითხება იგი მას ერთ წერილში.

უკვე 1916 წლის დასაწყისში, ე. ი. თითქმის სიკვდილის წინ, როცა არამც თუ დღეები, საათებიც დათვლილი ჰქონდა, ის ცხოვრობს მხოლოდ ერთი მოგონებებით პარტიაზე, სულ მუდამ პარტია ესიზმრება. ჯერ კიდევ წერილში 1916 წლის 20 იანვრის თარიღით, იგი სწერს: „შენს უკანასკნელ წერილში, სადაც ლაპარაკობ სამშობლაურის სიზარმაცეზე, მე ყველაფერი გავიგე“... ცხადია, ძმა მიხა სწერდა არც ისე კარგ ამბებს „სამშობლაურის“ შესახებ. ხოლო ერთი თვის შემდეგ, 1916 წელს 20 თებერვალს, ე. ი. 1 ნ. ხ. თვის წინედ სიკვდილამდე, ის მაინც ემუდარება ძმას: „მაცნობე, რამდენადაც შესაძლებელია, **სამშობლაურის საქმეები**“.

მე მოვიყვანე მხოლოდ უფრო დამახასიათებელი ადგილები მუშათა კლასის საქმისათვის ამ დატანჯულის და მოწამის წერილებიდან. მისი სახის დასურათება ერთ საგაზეთო წერილში შეუძლებელია, დროც არა მაქვს ამ ჟამად. ამ წერილის მიზანია აღვადგინო სახე ერთი უდიდეს რევოლიუციონერისა, რომელმაც დასაწყისი მისცა ჩვენში რევოლიუციონურ მოძრაობას, მოამზადა მუშათა კლასის გამარჯვება და მსხვერპლად შესწირა თავი საზიზღარ მეფის რეჟიმთან ბრძოლაში. ზ. ჩოდრიშვილის დამსახურება პროლეტარულ რევოლიუციის წინაშე უდიდესია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ნაკლებად ახსოვთ და ან სრულიად არ იციან. და თუ ჩვენ პატივსცემთ სხვა რევოლიუციონერების ხსოვნას,—პირველ ყოვლისა ეს უნდა მოვიმოქმედოთ ზაქარია ჩოდრიშვილის მიმართ. მე საჭიროდ მივიჩნევდი დაიწეროს ზ. ჩოდრიშვილის ვრცელი ბიოგრაფია და გამოიცეს მის წერილებთან ერთად. ამით ჩვენ გავამარადისებთ მუშათა საქმისათვის ერთ პირველ და საუკეთესო მებრძოლის ხსოვნას ჩვენში. ეს ჩვენი მოვალეობაა, და ეს ჩვენ უნდა მოვიმოქმედოთ.

ფ. მახარაძე.

14 აპრ. —1922 წ.

რეაქციონური სამღვდელოება და რუსეთის დამშეულები

რუსეთის დამშეულთა ლონე მიხდილი, მისუსტებული კვნესა საკმაო სიძლიერით სწვდა არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი ევროპისა და ამერიკის საზოგადოების ყურთა სმენას. ვოლგის მიდამოებში დატრიალებულმა საშინელებამ აამოძრავა ყველა: არა მარტო ისეთივე მშრომელები, როგორიც არიან დამშეულები, არა მარტო მუშები და გლეხები სხვა ქვეყნის, არამედ ეგრედ წოდებული საზოგადოებაც ყველგან. რუსეთის დამშეულთა დახმარების კამპანია გაფართოვდა და მან თავის ფერხულში, ჩაითრია მილიონიანი მასები როგორც თვით რუსეთში, ისე უცხოეთში. საჭირო შეიქნა ყველა საშუალებათა გამოძებნა და ამუშავება, რათა სიკვდილისაგან დახსნილ იქნან მილიონები ვოლგის და სხვ. მიდამოების. მიღებულ ზომათა შორის ერთი მნიშვნელოვანთაგანია საეკლესიო ღირებულებათა მოკრება და მათი გადაცემა დამშეულთათვის. როგორც ცნობილია ეკლესია მონასტრებში ძველთაგან ინახება ძვირფასი განძეულობა ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ქვები და სხვა. მათი შეგროვება და დახმარების საქმეში გამოყენება სიცოცხლეს დაუბრუნებდა სასიკვდილოთ განწირულებს და სწორეთ ამ საშუალებას მიმართა რუსეთის საბჭოთა მთავრობამ. უკანასკნელი ცნობით, რომელიც ჩვენ ხელთ არის და შეიცავს 15 მარტამდი დაგროვილ მასალას ამის შესახებ, უკვე შეგროვილია რუსეთში ოთხასი ფუთი ვერცხლი, ორი ფუთი ოქრო, ექვსი გირვანქა ძვირფასი თვლები. ეს სულ დღიდან დეკრეტის გამოცხადებისა ამაზე დამატებით ნოვგოროდის გუბერნიაში შეგროვილა 1.500.000 ოქროს მანეთად ღირებული ძვირფასეულობა. ეს საშუალება იმდენათ მნიშვნელოვანია და საიმედო დადებით შედეგებით, რომ დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა სრულიად რუსეთის ც. აღმასკომის წინაშე, რათა მან მისცეს მას ამ მისალებ ძვირფასეულობას ანგარიშში ერთი მილიონი ოქროს მანეთი დაუყოვნებლივ პურის საყიდათ საზღვარგარეთ. ცხადია, რომ რუსეთის შეგნებული მუშურ-გლეხური უმრავლესობა მხარს უჭერს ასეთ ნაბიჯს მთავრობისას, რაზედაც მრავლათ მოწმობს რეზოლიუციები და დადგენილებანი, რომლებიც მისდის ცენტრალურ და ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს.

მაგრამ სხვანაირათ განსაჯა რუსეთის სამღვდელოების ერთმა ნაწილმა, სამღვდელოების არისტოკრატიამ, რომელიც სასტიკ წინააღმდეგობას უწევს მთავრობის ასეთ დადგენილებას და შეუგნებელ ხალხში, სარგებლობს რა მასების შეუგნებელი ნაწილის ზოგან შესამჩნევი სარწმუნოებრივი ფანატიზმით, ამხედრებს მას როგორც ამ ზომის, ისე საზოგადოთ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

მთავრობის გადაწყვეტილებამ საეკლესიო ღირებულებათა დამშეულთა სასარგებლოთ მოხმარების შესახებ სამ ნაწილათ გაჰყო რუსეთის სამღვდელოება: ერთი ნაწილი კატეგორიულათ და გადაჭრით მიემხრო ამ ზომას და არა მარტო ხელს უწყობს ამის გასატარებლათ არჩეულ კომისიებს მათ მუშაობაში, არამედ თვით თავის პირად ქონებასაც შემდგარს განძეულობიდან აბარებს მათ თავისუფალ ნებაყოფილებით. ამ გზას დაადგა ახლად ვსთქვათ სამღვდელოების დემოკრატია და ნაწილობრივ მეთაურებიც: ცნობილი ეპისკოპოსები და პატრიარქები. მეორე ნაწილი აქტიურ წინააღმდეგობას არ უწევს ამ ზომას, მაგრამ ჰგონია, რომ ასეთი საშუალებით ბევრათ არ შემსუბუქდება დამშეულთა მდგომარეობა. მესამე ნაწილი, უმთავრესათ „ეკლესიის თავადებისაგან“ შემდგარი, აქტიურათ გამოდის მთავრობის განკარგულების წინააღმდეგ და დემაგოგიური მიზნით მიმართავს ხალხის სიბნელეს და ცრუმორწმუნეობას და ისახავს რა უფრო „შორეულ მიზანს“ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, აქტიური პროტესტის გზაზე გამოჰყავს მორწმუნეთა ნაწილები. მათი ხელით მომზადდა ცნობილი ამბები შუიაში, რამაც იმსხვერპლა რამოდენიმე კაცი. ამ ამბებმა საბოლოოთ გათიშა სამღვდელოება და ეს „სულიერი მამები“ დაუპირდაპირა არა მარტო სასულიერო წოდების უმრავლესობას, არამედ მთელ მშრომელ ხალხს და, რასაკვირველია, დამშეულთა მილიონებს.

დამშეულთა წინააღმდეგ, წინააღმდეგ რუსეთის ხალხის შეგნებული ნაწილისა, წინააღმდეგ თვით სამღვდელოების უმრავლესობისა—ვისი და რისი სახელით? თვის ჯიბეების, ეკლესიის ქონების შესანარჩუნებლათ, რომელსაც ეს სამღვდელოება აჯდა საუკუნეების განმავლობაში და ფლანგავს სადაც და როგორადაც კი დაახელებს მას.

რუსეთის რევოლიუციონური მთავრობა შეგნებული ხალხის აქტიური დახმარებით ზურგ-გამაგრებული, თავის ადგილს მიუჩენს შავ „მამებს“ და საშინელ გაჭირვებაში, სიკვდილის პირზე მიმდგარ ხალხს დაახმარს იმ სიმდიდრეს, რომელიც მისი ოფლით არის შექმნილი და მოგროვილი თვალუწვდენელი ქვეყნის სივრცეზე მის ეკლესია-მონასტრებში. ერთხელ კიდევ და აშკარათ თეთრი სამღვდელოება გამოდის ხალხის მტრათ და, როგორც ასეთი, ის იგემებს რევოლიუციონური ხალხისა და მისი მთავრობის კანონიერ რისხვას, ხოლო ერთი წუთითაც ვერ შეაჩერებს მის გადაწყვეტილებას ამ გზით დამშეულთა დახმარების შესახებ.

ნ.

გენუის კონფერენცია

გაზეთი „ტაიმს“-ი ბოლშევიკების პოზიციის შესახებ

მოსკოვი. 17 აპრილი (რადიო). გაზეთი „ტაიმს“-ი იუწყება: „დღევანდლამდის მთელი უპირატესობა კონფერენციაზე ბოლშევიკების მხარეზეა. მათ ერთი შეცდომაც არ ჩაუდენიათ და შეუდარებელი დაქინილობით მოქმედებენ. შეიძლება თუ არა კიდევ დავეჭვდეთ მეტი მათ იურიდიულათ ცნობის შესახებ; მათ მიერ წარმოებულმა პოლიტიკამ ეს საკითხი დააყენა ყოველივე ეჭვების გარეშე. მათ აიძულეს ევროპის დელეგატები მოეპყრონ მათ ისევე, როგორც თანასწორებს. ბოლშევიკები ისეთ მდგომარეობაში არიან, რომ ეს გარემოება შეძლებას აძლევს მათ გავლენა მოახდინონ კონფერენციის მუშაობის მთელ მსვლელობაზე. თუ მათი ტაქტიკა ისევე ბრძნული და მიზანშეწონილი იქნა, როგორათაც ძლიერია მათი პოზიცია, მაშინ ისინი სავსებით უზრუნველყოფენ თავის გამარჯვებას და თუ საფრანგეთი არ დაიცავს მეტ სიფრთხილეს და სიფხიზლეს იგი შესაძლებელია დარჩეს სავსებით იზოლიაციაში, რომლის აჩრდილიც არა ერთხელ აღმართა პირველი ორი დღის განმავლობაში“.

განხეთქილება მცირე ანტანტაში.

მოსკოვი. 17 აპრილი. (რადიო). კორესპონდენტები იუწყებიან, რომ მცირე ანტანტის წევრებში მოხდა განხეთქილება. ჩეხო-სლოვაკიისა და სერბიის დელეგატები რუსეთის საკითხში შემარიგებელი პოზიციის მომხრენი არიან.

სატრანსპორტო კომისია.

გენუა, 13 აპრილი. რადიო. 12 აპრილს შეუდგა მუშაობას მე 4 კომისია, არჩეული იმ საკითხების განსახილველად, რომელიც დაკავშირებულია ტრანსპორტის მდგომარეობასთან. მუშაობა გახსნა კომისიის უხუცესი წევრის სახით ბარონ ჩელეზიამ, რომელიც მიესალმა იტალიის მთავრობას და შემდეგ წინადადება შეიტანა, აერჩიათ კომისიის თავმჯდომარედ ბელგიის პრემიერი ფენისი, რომლის დამსახურება და საქმის ცოდნა განსახილველ საკითხებში საერთოდ ცნობილია, ეს წინადადება მიიღეს ერთხმად. ფენისმა დაიკავა თავმჯდომარის ადგილი და მიმართა კომისიის წევრებს სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა, რომ ტრანსპორტის საკითხები დაკავშირებულია მრავალრიცხოვან და ურთულეს საკითხებთან, წმინდა ტეხნიკურ ხასიათისა. ფენისმა ამასთან აღნიშნა, რომ ბარსელონსა და პორტოროზეში დადებული კონვენციები ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული. ფენისი მიუთითებს, რომ სატრანსპორტო კომისიამ უნდა გასწიოს უდიდესი მუშაობა, რომელმაც შეიძლება გამოიღოს სავსებით პრაქტიკული შედეგები. ფენისის სიტყვის შემდეგ დაადგინეს, ამოირჩიონ ქვეკომისია მუშაობის პროგრამის გამოსამუშავებლად და განაწილებლად. ქვე-კომისიაში შევიდნენ ოთხ-ოთხი წარმომადგენელი კონფერენციის მომწვევ სახელმწიფოებიდან, თითო წარმომადგენელი გერმანიისა და რუსეთიდან და 5 წარმომადგენელი ყველა დანარჩენ სახელმწიფოებიდან. დელეგატების ასარჩევად სხდომა შესწყდა.

გენუა, 14 აპრილი. რადიო. 14 აპრილს შესდგა სატრანსპორტო კომისიის მეორე პლენარული სხდომა.

საფინანსო კომისია.

გენუა, 13 აპრილი. რადიო. საფინანსო კომისიის ქვე-კომისიამ დაიწყო მუშაობა 12 აპრილს დღის 3 საათზე მეფის სასახლეში. მუშაობის რეგლამენტაციის საკითხის განხილვის შემდეგ, გადაწყვიტეს 13 აპრილის დღის 4 საათისათვის კომისიის პლენარული სხდომა ორი სხვა ქვე-კომისიის ასარჩევად, სახელდობრ კრედიტის და გაცვლა გამოცვლისა. ამასთან დაადგინეს, რომ უკვე არსებული ქვეკომისია მთელ თავის ყურადღებას მიაპყრობს სავალიუტო საკითხს, რომლის წინასწარი განხილვა დაიწყო უკვე 12 აპრილს იმ მოხსენების საფუძველზე, რომელიც გამომუშავებულია ლონდონში მოკავშირეთა ექსპერტების მიერ. ზოგიერთ დელეგატებმა განაცხადეს, რომ ისინი წარადგენენ დამატებითი მასალებს მოხსენებაში წამოყენებულ ყველა საკითხების შესახებ.

რუსეთის პრობლემა.

გენუა, 14 აპრილი. რადიო, 14 აპრილს უნდა შეკრებილიყო პირველი კომისია, რომელიც იხილავს რუსეთის პრობლემას, მაგრამ რუსეთის დელეგატებმა ითხოვეს სხდომის გადადება შემდეგი დღისათვის, რათა ექნეთ დრო კონტრ-წინადადებების წარმოსადგენად იმ პროექტის გამო, რომელიც შედგენილია გასულ წლის მარტში გენუას კონფერენციის მომწვევ 5 სახელმწიფოს ექსპერტების მიერ. ეს პროექტი წინადადებას იძლევა, გამოიცეს ობლიგაციები რუსეთის დასახმარებლად. ესევე ობლიგაციები მოხმარდება რუსეთის ძველი ვალების დაფარვას. ობლიგაციების მოთავსება შეიძლება საზღვარ გარეთ და უნდა იქნეს უზრუნველყოფილი რუსეთის სამეურნეო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი და შემოსავლიანი წყაროებით, საერთაშორისო კონტროლ-ქვეშ.

რუსეთის ვალების კომისია.

გენუა. 14 აპრილი. რადიო. კომისია რუსეთის ვალების საკითხების შესახებ უნდა შესდგეს დიდი სახელმწიფოების მიერ დანიშნულ წევრებისაგან, არა დაინტერესებულ დელეგატების თავმჯდომარეობით, რომელიც უნდა იქნეს არჩეული კომისიის ხსენებულ წევრების თანხმობით, მაგრამ არა მათი რიცხვიდან. შეუთანხმოების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარე უნდა დანიშნოს ხალხთა ლიგამ, ლიგის საბჭოს ან მუდმივი საერთაშორისო უმაღლესი სასამართლოს საშუალებით. ამ კომისიას დაეკისრება აგრეთვე მოვალეობა დებულებათა პროექტის გამომუშავებისა, რომელიც უნდა დაედვას საფუძვლად ობლიგაციების ემისიის საკითხების შესახებ სამედიატორო სასამართლოების ორგანიზაციას და მოღვაწეობას.

გაცვლა-გამოცვლა და კრედიტი.

გენუა. 15 აპრილი. რადიო. საფინანსო კომისიის დადგენილების თანახმად, შეუდგნენ ფულის ტრიალის, კრედიტის და გაცვლა-გამოცვლის ქვეკომისიების შედგენას. ფულის ტრიალის ქვე-კომისია შესდგება 12 წევრისაგან, მათ რიცხვში ხუთი დელეგატი კონფერენციის მომწვევ სახელმწიფოებისა, დანარჩენი—წარმომადგენლები—გერმანიის, რუსეთის, ჰოლანდიის, დანიის, ჩეხო-სლოვაკიის, ფინეთის და რუმინიისა. კრედიტის საკითხების ქვეკომია შესდგება მოკავშირე სახელმწიფოების 5 წარმომადგენლის და რუსეთის, გერმანიის, შვეციის, ავსტრიის, ლატვიისა, ისპანიის და შვეიცარიის წარმომადგენლებისაგან. გაცვლა-გამოცვლის საკითხების ქვეკომისია შესდგება კონფერენციის მომწვევ სახელმწიფოების 5 დელეგატისაგან და რუსეთის, გერმანიის, პოლონეთის, სამხრეთ სლავიის, საბერძნეთის, ნორვეგიის და უნგრეთის წარმომადგენლებისაგან. ქვეკომისიების ასეთი შემადგენლობა მიიღეს როგორც ისეთი, რომელიც უფრო შესაფერისია და საშუალებას აძლევს დაინტერესებულ სახელმწიფოებს, გამოსთქვან თავიანთი შეხედულებანი სხვა საკითხებზე.

დაუყოვნებლივ საფინანსო კომისიის პლენარული სხდომის შემდეგ, შესდგა ფულის ტრიალის საკითხების ქვეკომისიის სხდომა შემოიტანეს მთელი რიგი განცხადებები აუცილებელ შესწორებების შეტანის შესახებ მოკავშირეთა ექსპერტების მიერ გამომუშავებულ მემორანდუმში. მცირე ჭამათის შემდეგ გადაწყდა, დაუყოვნებლივ შესდგინონ ცალკე კომისია ამ ჟამად გენუაში მყოფ უფრო გამოჩენილ ეკონომისტებისაგან. ამ კომისიას დაეკისრება ამოცანა აუცილებელ მასალის შესწავლის და პრაქტიკულ წინადადების გამომუშავებისა. კომისიის მუშაობა უმთავრეს ნაწილში შეძლებისდაგვარად უნდა დამთავრდეს შაბათისათვის. ეკონომისტების კომისიის პირველი სხდომა დანიშნულია პარასკევისთვის. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ: დ—რი ვისორინგი, პროფესორი კასელი, ავანდტი, ენრიკ შტაფნოში, დიუდუა, ავენშტეინი, გუტი, ბინკინი და ბრანდტი.

სავალიუტო საკითხები.

რომი, 14 აპრილი, (რადიო), საფინანსო კომისიამ გადასწყვიტა მთელი თავისი ყურადღება მიაპყრას სავალიუტო საკითხს. საკითხის წინასწარი განხილვა ემყარება მოკავშირეთა ექსპერტების ლონდონის მოხსენებას.

თათბირი ემისიის შესახებ.

რომი. 14 აპრილი (რადიო). ინგლისის ხაზინის ლორდმა სერ რობერტ ხორნმა შეიტანა საფინანსო კომისიაში წინადადება მოწვეულ იქნას ყველა საემისიო ბანკების წარმომადგენლების საერთაშორისო კონფერენცია, ემისიის საკითხის განსახილველად საერთაშორისო თვალსაზრისით. სერ ხორნმა აღნიშნა, რომ საერთო საემისიო ბალანსის მოწესრიგება შეუძლებელია საემისიო ბალანსის მოუწესრიგებლად ცალკე სახელმწიფოებში.

რაკოვსკის განცხადება.

რომი, 14 აპრილი (რადიო). შეეხო რა სერ ხორნის წინადადებას, რუსეთის წარმომადგენელმა რაკოვსკიმ განაცხადა, რომ მოხსენება და დასკვნები მოკავშირეთა ექსპერტებისა ლონდონში, სავსებით შეესაბამებიან რუსეთის მთავრობის განზრახვებს, განსაკუთრებით ქაღალდის ფულის ემისიის შემცირების საკითხში. ამ აუცილებლობას აღიარებს საბჭოთა მთავრობა ქვეყნის ფინანსიურ ეკონომიურ სიძნელეების აღსადგენად.

სამანდატო კომისია.

რომი, 14 აპრილი (რადიო). დელეგატების რწმუნებათა შემამოწმებელი კომისია შეიკრიბა 13 აპრილს 16 საათზე, იტალიის დელეგატის ჩელეზიას დროებითი თავმჯდომარეობით. სხდომის გახსნისთანავე მუდმივ თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს იგივე ჩელეზია. საფრანგეთის დელეგატის ფორტის წინადადებით, გადაწყდა არჩეულ იქნას ქვეკომისია ხუთი იურისკონსულტის შემადგენლობით, რომელნიც აარჩიეს იმავე კომისიის ექსპერტების რიცხვიდან. ქვეკომისიამ უნდა განიხილოს რწმუნებები და წარუდგინოს სამანდატო კომისიას სათანადო მოხსენება. ქვეკომისიის შემადგენლობაში შევიდნენ: იტალიიდან ჩელეზია, ბელგიიდან—ფიკონტ აგინიონი, საფრანგეთიდან—ფრომაჟო, ინგლისიდან—სესილ ხორსტი და იაპონიიდან ბარონ გაიაში.

კომისიების მუშაობა.

გენუა, 14 აპრილი (რადიო). 14 აპრილს შესდგა სხდომა კომისიების და ქვეკომისიებისა: სატრანსპორტო ტეხნიკური, საფინანსო, ფულის ტრიალის საკითხის. ეკონომიურ ქვეკომისიის, რწმუნებათა შემამოწმებელ ქვეკომისიის და რუსეთის საქმეების ქვეკომისიისა.

საკონტრიბუციო პრობლემა

ბერლინი, 14 აპრილი (რადიო). გერმანიის პრესა, მიუხედავად ხმებისა საფრანგეთის ღონისძიებათა შესახებ საკონტრიბუციო საკითხში, დამშვიდებით ელოდება ცნობებს გენუიდან და გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილებას.

ნაუენი, 14 აპრილი (რადიო). პოლიტიკურ კომისიის სხდომაზე ბარტუმ განაცხადა, რომ პუანკარესაგან მიიღო ინსტრუქციები, მოითხოვოს გერმანიის დელეგატების გამორიცხვა პოლიტიკურ კომისიის შემადგენლობიდან იმ მოტივებით, რომ საკონტრიბუციო კომისიამ უარყო გერმანიის მთავრობის თხოვნა ვადის გაგრძელების შესახებ. მაისის განმავლობაში საფრანგეთს და ბელგიას გახზრახული აქვთ მიიღონ ზომები გერმანიის წინააღმდეგ ვერსალის ხელშეკრულების დადგენილებათა დარღვევისათვის. როცა ამაზე შეეკითხნენ ლონდონიდან ლოიდ-ჯორჯს, რომელმაც თავის მხრივ მიმართა ბარტუს კითხვით, მოითხოვს თუ არა საფრანგეთი სეპარატულ გამოსვლებს გერმანიის წინააღმდეგ, ბარტუმ საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ განიმეორა თავისი წინანდელი განცხადება.

ბორდო, 14 აპრილი (რადიო). „ტანის“ აზრით, გერმანიის პასუხი საკონტრიბუციო კომისიას—„უტ ფარია“. გაზეთი აღნიშნავს, რომ შეუძლებელია შემდეგში მივცეთ გერმანიას საშუალება გვერდი აუხვიოს თავის ვალდებულებათა ასრულებას. მოკავშირეებმა უნდა გამონახონ საშუალებები, რათა ჩაფუშონ გერმანიის მანევრები, აშკარად მიმართულნი იქითკენ, რომ საკონტრიბუციო პრობლემა დასმულ იქნას გენუას კონფერენციის განსახილველად. ბოლოს და ბოლოს აუცილებელია უჩვენოთ გერმანიას ასეთი პოლიტიკის მთელი დამღუპველობა.

რომი, 14 აპრილი (რადიო). სააგენტო „ვოლფი“ იუწყება: საფრანგეთის პრესის ცნობებით, გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა რატენაუმ წინადადება მისცა მოკავშირე სახელმწიფოებს დასმულ იქნას გენუას კონფერენციის განსახილველად საკონტრიბუციო პრობლემა.

პოლიტიკური კომბინაციები.

ბერლინი, 14 აპრილი (რადიო). გენუიდან მიღებული ცნობებით, კონფერენციასთან დაახლოვებულ წრეებში, მისი გახსნის მომენტიდან ისახება მრავალი სხვა და სხვანაირი პოლიტიკური კომბინაციები.

გაერთიანებული ანტიფრანგული ფრონტი.

ნაუენი, 14 აპრილი (რადიო). პუანკარემ შეატყობინა ბარტუს, რომ მანამდე, სანამ ის, პუანკარე, გადასწყვეტს გაემგზავროს გენუაში კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, საჭირო გამორკვეულ იქნას, თვლის თუ არა საფრანგეთის დელეგაცია, რომ იგი განსაზღვრულია პარიზის დირექტივებით, თუ გრძნობს უფლებას წინაღუდგეს გაერთიანებულ ინგლის-იტალიის ფრონტს.

თუნდაც...

ბერლინი, 14 აპრილი (რადიო). იტალიის გაზეთი „ილ მონდო“ წერს: თუნდაც გენუას კონფერენცია განსაზღვრავს გერმანიის და რუსეთის აღიარებით ევროპის ოჯახის წევრებად, მაშინაც არ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ კონფერენცია უნაყოფო იყო. თუ განხორციელდება განზრახვა ზოგიერთი სახელმწიფოს აღორძინების შესახებ და ეს გავლენის მოახდენს ევროპის პოლიტიკურ გაერთიანებაზე და, მაშასადამე, მისი ეკონომიურ აღორძინებაზე,—კონფერენციის შედეგები უდიდესი იქნება.

წინასწარმეტყველება ნაადრევია.

ლონდონი, 14 აპრილი (რადიო) „დეილი ნიუზ“ აღნიშნავს, რომ ბევრი გაზეთები დიდ იმედებს ამყარებენ გენუას კონფერენციის შედეგებზე. გაზეთი თავის მხრივ აღნიშნავს: ყოველგვარი წინასწარმეტყველება იმაზე, რომ გენუას კონფერენციას ექნება დადებითი შედეგები, ნაადრევია, სანამ საფრანგეთს უკავია შეურიგებელი პოზიცია. შემდეგ გაზეთს მოყავს სიტყვები ერთი თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწისა, რომელიც ხაზს უსვამს საფრანგეთის იზოლაციის აცილების აუცილებლობას.

ცვლილებები ინგლისის დელეგაციაში.

ბერლინი, 14 აპრილი (რადიო). ლონდონიდან მიღებული ცნობებით, ლორდ კერზონის მაგივრად, რომელსაც ავადმყოფობის გამო არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა გენუას კონფერენციის მუშაობაში, გენუაში გამოემგზავრება ლორდ კანცლერი ბირკენჰედი.

იტალიის მეფე.

ბერლინი, 14 აპრ (რადიო). იტალიის მეფემ გამოსთქვა სურვილი და იმედი ეწვიოს გენუას კონფერენციის დახურვამდე, რათა საშუალება მიეცეს მიესალმოს იქ შეკრებილ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებს.

ანგორის დელეგაცია.

განოვერი. 14 აპრილი (რადიო) გენუაში ჩავიდა ანგორის დელეგაცია, რომელსაც ოსმალეთის სახელით პროტესტი განაცხადა კონფერენციის შემადგენლობიდან მისი გამორიცხვის წინააღმდეგ.

რომი. 14 აპრ. (რადიო). ანგორის დელეგაციამ მიმართა გენუას კონფერენციის თავმჯდომარეს თხოვნით შეიყვანონ ოსმალეთის წარმომადგენლები კონფერენციის შემადგენლობაში. ქემალისტებმა თავის თხოვნაზე უარყოფითი პასუხი მიიღეს.

ბორდო. 14 აპრ (რადიო) ანგორის დელეგაციის სათავეში, რომელიც ჩავიდა გენუაში, დგას ბეკირ-საბი-ბეი.

პროვოკაციული ცნობა.

ბორდო. 14 აპრ. (რადიო) გელსინგფორსიდან მიღებული ცნობით, რამოდენიმე უცხოელი რომელნიც ჩამოვიდნენ რუსეთში, „დააპატიმრეს მაშინათვე პეტროგრადში ჩასვლისთანავე“. პეტროგრადის „კრასნაია გაზეტა“ ურჩევს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს „დააპატიმრონ მძევლების სახით უცხოელ ბურჟუაზიის წარმომადგენელნი რუსეთში“. აი მშვენიერი საშუალება აცხადებს გაზეთი (გაზეთის სახელი არ არი მოხსენებული), რათა უზრუნველ ყოფილ იქნას რუსეთის დელეგაციის წევრების პირადი უშიშროება გენუაში, სანამ ისინი იმყოფებიან საზღვარ-გარედ.

საფრანგეთში.

ბორდო. 14 აპრ. (რადიო) საფრანგეთის მთავრობის სხდომაზე ხუთშაბათს პუანკარემ გააკეთა ვრცელი მოხსენება გენუას კონფერენციის მოხსენებაზე საფრანგეთის დელეგაციის ცნობების თანახმად.

განიარაღება.

ნაუენი. 14 აპრ. (რადიო). ბრიტანეთის ხაზინის ლორდმა სერ რობერტ ხორნმა უარყო ცნობები იმაზე, რომ თითქო ლოიდ-ჯორჯს გამოემუშავებინოს ხმელეთის არმიების განიარაღების გეგმა 10 წლის განმავლობაში.

„გენუა ულენინოდ“.

პარიზი. „მატენი“ აქვეყნებს კორესპონდენციას მოსკოვიდან იმაზე, რომ გენუას კონფერენცია, ალბად, ვერ დაინახავს ლენინს. ამ კორესპონდენციაში ვრცლადაა დახასიათებული ლენინი და მისი დამოკიდებულება გენუასადმი. „მატენ“-ი სწერს: „გენუას კონფერენცია ვერ მოგვცემს ხეირიანულ შედეგებს. ლენინს არ სურს ტყუილ-უბრალოდ დაკარგოს თავისი დრო, სწერს „მატენ“-ის მოსკოველი კორესპონდენტი, მას უნდა გარკვეული პოლიტიკური გამარჯვება, და არა ის წვრილმანები, რომელიც შეიძლებოდა რგებოდა პირადად მას კონფერენციაზე. ლენინს ესმის, რომ მისი ჩასვლა გენუაში გამოიწვევდა უაღრეს სენსაციას. აბა ერთი წარმოიდგინეთ: ის, ვლადიმერ ულიანოვ ლენინი ყველაზე გენიალური და ყველაზე საძულველი კაცი მსოფლიოში, ჩამოქვეითდებოდა იქამდე, რომ მომჯდარიყო ერთ მაგიდას ყველა ამ ლოიდ-ჯორჯებთან, პუანკარეებთან, კერზონებთან... ლენინი არჩევს არ გაემგზავროს კონფერენციაზე, რომლისადმი რწმენა არა აქვს, არამედ იჯდეს შინ და თავის ჩვეულებრივი დაუზოგველი სიცხადით ამხილოს პროლეტარიატის კლასობრივ მტრების ყველა დიპლომატიური ოინები, მათი სიყალბე, რომლითაც ისინი გამოვლენ კონფერენციაზე რომ ის დარჩება შინ, აქედან პროლეტარული საქმე არაფერს არ წააგებს.

შემდეგ „მატენ“-ის კორესპონდენტი სწერს: შეიძლება არ დამიჯეროთ, თუ ფრიად კატეგორიულად ვიტყვი, მხოლოდ ბოლშევიკებს უნდა უმადლოდეთ იმას, რომ თანამედროვე რუსეთი არ ჩაეფლო [illegible] დამღუპველ ანარქიაში. ვინც იცნობს რუსეთს და მსჯელობს პატიოსნურად, უნდა აღიაროს, რომ ბოლშევიკებმა გამოაკეთეს სხვების მიერ დანგრეული ცხოვრება.

საბჭოთა დელეგაციის პრესბიუროს განმარტება.

მოსკოვი, 14 აპრილი (რადიო). გენუის კონფერენციის შესახებ ინფორმაციის დაგვიანების გამო დეპეშების დაგვიანებასთან დაკავშირებით, გენუას კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის პრესბიურომ დაგზავნა ყველა ქვეყანაში შემდეგი დეპეშა: რუსეთის რადიო სადგურები იღებენ უცხოელ სააგენტოების მიერ გადმოცემულ ყველა ცნობებს გენუას კონფერენციის შესახებ. ამ სააგენტოების რადიო-დეპეშებში თითქმის მთლიადაა გადმოცემული ანტანტის წარმომადგენლების სიტყვები, ხოლო რუსეთის დელეგაციის გამოსვლების შესახებ თითქმის არაფერია ნათქვამი. რუსეთის დელეგაციის პრესბიუროს დეპეშები იგვიანებენ რამოდენიმე დღით, ვინაიდან ტელეგრაფის ხაზები იმყოფება დასავლეთის მთავრობების განკარგულებაში, რომელნიც ჯერჯერობით არ იჩენენ ელემენტარულ ლოიალობას, რომ რუსეთის დელეგაციას და რუსეთის პრესას გაუწიონ სამსახური. რუსეთის სააგენტოს დეპეშა გენუას კონფერენციის გახსნის შესახებ მოვიდა მოსკოვში მხოლოდ 11 აპრილის საღამოსთვის, ჩიჩერინის სიტყვა მხოლოდ 13 აპრილს. მოსკოვის სამთავრობო და საზოგადოებრივ წრეებში სრულიად სამართლიანად ხედავენ ამაში შეგნებულ მისწრაფებას შეამცირონ რუსეთის დელეგაციის გამოსვლის მნიშვნელობა ევროპის საზოგადოებრივ აზრის თვალში. ამაში აგრეთვე იჩენს განზრახვა გააძნელონ რუსეთის დელეგაციის მუშაობა და ცნობების გადმოცემა რუსეთში.

ჩიჩერინის სიტყვა.

რაპალო, 13 აპრილი (რადიო) (მოსკოვით), ჩიჩერინის სიტყვა, წარმოთქმული კონფერენციის პირველ სხდომაზე, მოკლედ შემდეგში გამოიხატება: „რუსეთის დელეგაცია, სთქვა ჩიჩერინმა, მოვიდა აქ მშვიდობიანობის და საყოველთაო სამეურნეო აღორძინების ინტერესებისათვის. ის აღიარებს სახელმწიფოთა შორის ეკონომიურ თანამშრომლობის აუცილებლობას. რუსეთის დელეგაცია მოვიდა აქ არა თავის შეხედულებათა პროპაგანდისათვის, არამედ საქმიანი ურთიერთობის დასამყარებლად. რუსეთის ეკონომიური აღორძინება—საყოველთაო აღორძინების აუცილებელი პირობაა. რუსეთი მზადაა ხელი შეუწყოს უკანასკნელ ამოცანის განხორციელებას. ის იღებს და სცნობს კანის რეზოლიუციის პრინციპებს, შესწორებათა და დამატებების შეტანის უფლების დატოვებით. რუსეთის მთავრობის უახლოესი ღონისძიებები ქმნიან სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის გარანტიას.

მსოფლიო მეურნეობის აღორძინება მიუღწეველია, სანამ ახალი ომების მუქარა ისევ არსებობს. რუსეთის დელეგაციას განზრახვა აქვს შემოიტანოს წინადადება შეიარაღების საყოველთაო შემცირების შესახებ. რუსეთი მზადაა თვითონ შეამციროს შეიარაღება, თუ სხვებიც ამას ჩაიდენენ და გარანტიას მისცემენ თავდასხმებისა და ინტერვენციების წინააღმდეგ. რუსეთის დელეგაციას აუცილებლად მიაჩნია ყველა ხალხების კონგრესის მოწვევა მუშათა ორგანიზაციების მონაწილეობით. მსოფლიო კონგრესი გამოყოფს კომისიას აღორძინების პროგრამის გამოსამუშავებლად. როგორც კომუნისტები, ჩვენ არ ვიზიარებთ ილუზიებს ომის მიზეზების და ეკონომიურ კრიზისების მოსპობის შესახებ, მაგრამ ჩვენ მზადა ვართ მხარი დავუჭიროთ ყოველ ცდას, მიმართულს მსოფლიო მეურნეობის თუნდაც დროებითი გაუმჯობესებისაკენ და ახალ ომების შესაძლებლობის შემცირებისაკენ“.

პოლიტიკურ კომისიის სხდომაზე.

ვარშავა. 13 აპრილი, (რადიო). (მოსკოვით). „რეჩ პოსპოლიტა“ იტყობინება, რომ პოლიტიკურ ქვეკომისიის სხდომაზე ლოიდ ჯორჯმა შემოიტანა წინადადება მუშაობას საფუძვლად დაედვას ლონდონის რეზოლიუციები. წინადადება მიიღეს. ბარტუმ თავის სიტყვაში განაცხადა: „გუშინ, კონფერენციის სხდომაზე მე მქონდა ბევრი საბუთი ჩიჩერინის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ეხლა მე უნდა გამოვთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ ჩვენ შორის დამყარდა შეთანხმება“. ჩიჩერინმა საპასუხო სიტყვაში გამოსთქვა თავისი კმაყოფილება ბარტუს განცხადების გამო. ლონდონის რეზოლიუციების განხილვა მოითხოვს რამდენიმე დღეს და ეს საკმარისი იქნება შეხედულებათა შესათანხმებლად.

რუსეთის დელეგაციის ჩასვლის გამო გენუაში.

სანტა მარგარიტა 11 აპრილი, (რადიო). (მოსკოვით). საბჭოთა დელეგაციის მოგზაურობამ გენუისკენ ჩაიარა ყოველგვარ ინციდენტის გარეშე. მიხვლა სანტუმროში, სადაც იმყოფება რუსეთის დელეგაცია, გაძნელებულია. საბჭოთა დელეგაციას ეხვევიან ჟურნალისტები და ფოტოგრაფები. ჩიჩერინი და სხვა დელეგატები ძლივს ასწრებდნენ ჟურნალისტების მიღებას.

რუსეთის დელეგაცია.

სანტა-მარგარიტა. 11 აპრილი, (რადიო) (მოსკოვით). იტალიის პრესა რუსეთის დელეგაციას უფრო მეტ ყურადღებას აპყრობს ვინემ დანარჩენ დელეგაციებს ერთად აღებულს. საბჭოთა დელეგაციამ მიიღო უამრავი მისალმებანი მუშათა ორგანიზაციებისა, კლუბებისა და ქალაქის მუნიციპალიტეტებისაგან. ლენინის სახელი ყველას პირზე აკერია.

ჩიჩერინის გამოსვლის გამო.

ბერლინი. 11 აპრილი, (რადიო) (მოსკოვით). გერმანიის პრესა კმაყოფილებით აღნიშნავს ჩიჩერინის გამოსვლას განიარაღების საკითხის შესახებ. ამ გამოსვლამ გამოიწვია საფრანგეთის მორალური იზოლიაცია აღნიშნავენ რა ამას, ამერიკულ პრესის წარმომადგენელნი ფრიად მკაცრად ილაშქრებენ საფრანგეთის წინააღმდეგ.

საფრანგეთის იზოლიაცია.

ბერლინი. 11 აპრილი, (რადიო) (მოსკოვით). „ბერლინერ ცეიტუნგ“-ი წერილში სათაურით „ბარტუს დამარცხება“ აღნიშნავს დისონანსს, რომელიც შეიტანა საფრანგეთის დელეგატის გამოსვლამ. საფრანგეთის იზოლიაცია გენუაში ჩიჩერინის ხსენებული სიტყვის შემდეგ უფრო მეტი სიცხადით გამოაშკარავდა, ვინემ ეს მოხდა ვაშინგტონში.

„მოუსვენრობას ატმოსფერა“.

ვარშავა. 13 აპრილი, (რადიო) (მოსკოვით). „ჟურნალ დე პოლონი“ აღნიშნავს, რომ ბარტუმ, ჩ. ჩერინის სიტყვის საპასუხოდ, ვერ მოახერხა, რათა მოკავშირეებს წარმოეთქვათ გადაჭრილი სიტყვები. ლოიდ-ჯორჯი და ფაქტა ყოველნაირად თავს იძვრენენ და გაურბიან პირდაპირ პასუხს. მოუსვენრობის და ეჭვების ატმოსფერა შეიქმნა გენუას გარშემო. იტალიის გაზეთები ხაზს უსვამენ ჩ. ჩერინის, რომელიც ლაპარაკობდა ფრანგულ და ინგლისურ ენაზე, სიტყვის ტონის გარეგნულ ზომიერებას.

„კურიერ პორანნი“ სწერს: „ეხლა მთელი დასავლეთი შეიტყობს საბჭოთა დიპლომატიის მოხერხებულ ვერაგობას. უნდა ვიფიქროთ, რომ ბ. ბ. ჩიჩერინების და კრასინების ახალი გამოსვლები არა მცირე სისხლს გაუფუჭებენ ევროპის სახელმწიფო მოღვაწეებს“.

საერთო სიმპატია რუსეთის დელეგაციის მხარეზეა.

ბერლინი, 11 აპრილი. რადიო. (მოსკოვით) „ბერლინერ ციტუნგის“ კორესპონდენტი აღნიშნავს საფრანგეთის დელეგაციის უიმედო განწყობილებას და იმ გაკვირვებას, რომელიც გამოიწვია კონფერენციის მონაწილეთა შორის რუსეთის დელეგატებმა წამოაყენეს მოთხოვნილება კომპენსაციისა იმ ზარალის ანაზღაურების სახით, რომელიც მას მიაყენა კონტრრევოლიუციონურმა ექსპედიციებმა. ამასთან ერთად რუსეთის დელეგატებმა უარჰყვეს რუსეთის ვალების შესახებ, განსაკუთრებული კომისიის შექმნის წინადადება.

არ არის დაბრკოლება.

გენუა 15 აპრილი, რადიო. 14 აპრილს 15 საათს და 30 წუთზე უნდა გამართულიყო სხდომა პირველი კომისიის ქვეკომისიისა. რუსეთის დელეგაციის თხოვნის თანახმად სხდომა გადადებულ იქნა, რათა შეძლება მიეცათ მათთვის გასცნობოდნენ განსახილველად წარმოდგენილ წინადადებებს. შემდეგი სხდომის დღე ჯერჯერობით არ არის დანიშნული, მაგრამ კულუარებში ლაპარაკობენ, რომ არც სხდომის გადადება და არც მისი დღის დაუნიშნველობა არ უნდა ჩაითვალოს იმ გარემოებად, თითქოს რამე დაბრკოლება მოხდარიყოს მოლაპარაკების მსვლელობაში.

შეთანხმება შესაძლებელია.

გენუა. 15 აპრილი. რადიო. რუსეთის საკითხის ქვეკომისიის სხდომის გადადება სრულებით არ მოასწავებს მოლაპარაკების ჩაშლას. პირიქით სხდომის გადადება მაჩვენებელია შეთანხმების შესაძლებლობისა, რომელიც უფრო ადვილად იქნება მიღწეული სახელმწიფოთა წარმომადგენლებს შორის კერძოთ აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ. აზრთა ასეთი გაცვლა გამოცვლა უკვე დაიწყო და ძალიან ენერგიულადაც მიმდინარეობს.

რომი, 16 აპრილი. რადიო. გაზეთ „მესაჯეროს“ კორესპონდენტი თუ

წითელი პრესა

მუშათა ერთიანი ფრონტი და კოოპერაცია

მუშათა ერთიანი ფრონტის ლოზუნგი, რომელიც წამოაყენა კომინტერნმა, თავის პირველ ნაბიჯებს იდგამს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის პრაქტიკაში. რაც უფრო მეტ მასას დაეუფლება ეს ლოზუნგი, მით უფრო მიაღწევს ის თავის მიზანს: გარკვეული „რევოლიუციონური მინიმუმის“ პლატფორმაზე პროფესიონალურათ და პოლიტიკურათ შეკავშირებულ მუშათა კლასის გამოსვლების გაერთიანებას. მაგრამ მშრომელთა თვითმოქმედების უმთავრეს დარგებში ამ ორის გარდა არის კიდევ მესამე, კოოპერატიული, რომელიც აკავშირებს დღეს ევროპაში ათეულ მილიონებიან მშრომელთ. ერთი და იგივე მუშა შეიძლება იყოს წევრი სამივენაირი ორგანიზაციის. რასაკვირველია წარმოუდგენელია, რომ როგორც წევრი ორი პირველი გაერთიანების, ის მონაწილეობას იღებდეს ამ მოძრაობაში. ხოლო როგორც მონაწილე კოოპერაციის ის გვერდზე იყოს გამდგარი. ბუნებრივია ამიტომ რომ კოოპერაციაც უნდა ჩათრეულ იქნას ამ ბრძოლაში.

ამხ. მეშჩერიაკოვი არჩევს რა ამ საკითხს მოსკოვის „პრავდა“-ში მოთავსებულ წერილში „მუშათა ერთიანი ფრონტი და კოოპერაცია“,— სწერს სხვათა შორის შემდეგს:

„მომხმარებელ კოოპერატივებს არ შეუძლიათ დარჩნენ, ისინი არ უნდა დარჩნენ ნეიტრალური იმ ბრძოლაში, რომელიც სწარმოებს ფართო მოხმარების პროდუქტების დაბეგვრის წინააღმდეგ, ბრძოლაში იმ გადასახადების გადიდების წინააღმდეგ, რომლებსაც აწვებენ მომხმარებლებს. ამ ბრძოლაში მათი ჩათრევა არ იქნება შედარებით ძნელი, რადგან წინათაც უცდიათ კოოპერატივებს თუმცა მკრთალათ, ჩარეულიყვნენ შემოსატან საქონელზე ბაჟების შემცირებისთვის ბრძოლაში. დაწყებული ამ ნიადაგზე კოოპერატივების ბრძოლა უნდა იყოს გადატანილი პოლიტიკურ ასპარეზზე, პოლიტიკურ დემონსტრაციებში მათი ჩარევით საარჩევნო ბრძოლაში მონაწილეობის საშუალებით და სხვა, სულაც რომ არაფერი ვსთქვათ ბრძოლის ისეთ წვრილმან მეთოდებზე. როგორც არის კოოპერატივების მხრით ფინანსიური დახმარების აღმოჩენა იმ გაზეთებისათვის, რომლებიც აწარმოებენ ამ ბრძოლას ყველაზე უფრო ენერგიულათ, ან კიდევ თავის სადგომების დათმობა მუშათა კრებებისათვის და სხვ. მუშათა მომხმარებელი კოოპერატივების წევრთა შემადგენლობა თითქმის იგივეა როგორც არის პროფკავშირების, ამიტომ კოოპერატივებს არ შეუძლიათ გულდამშვიდებით და გახზე გამდგარებმა უყურონ იმ გაფიცვებსა და ლოკაუტებს, რომლებიც მრეწველობის ხან ერთ დარგში და ხან მეორეში თავს იჩენენ ხოლმე თითქმის ყოველ დღე დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ასეთ შემთხვევებში კოოპერაციის დახმარება უნდა გამოიხატოს გაფიცულებისა და ლოკაუტის მსხვერპლებისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენით...

ტაქტიკა მუშათა ერთიანი ფრონტის შეიცავს სრულიად სამართლიან დებულებას იმის შესახებ, რომ მუშა რევოლიუციონერდება არა იმდენათ პროპაგანდის გავლენით, რამდენათ თვით კლასთა ბრძოლის პროცესში, რომელშიაც ის იღებს მონაწილეობას. დასავლეთ ევროპის მუშის ცხოვრებაში კოოპერატივები თამაშობენ დიდ როლს, ამიტომ ისინი უნდა ჩათრეულ იქნენ ამ რევოლიუციონურ ბრძოლაში. თუ ამას ადგილი არ ექნება ჩვენ ჩავაყენებთ მუშას სულელურ მდგომარეობაში: როგორც პროფკავშირის წევრი, ის მიიღებს მონაწილეობას კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო როგორც კოოპერატორს მას დაუყენებენ რწმუნებას თავი შეიკავოს ბრძოლის გადამჭრელი საშუალებით სარგებლობისაგან და უკან დაიხიოს ამ ბრძოლაში“.

დასასრულ ავტორი სამართლიანათ მოითხოვს, რომ კომინტერნმა მიაქციოს თავის სექციების ყურადღება ამ საკითხს და გამოჰყოს ამ დარგში სამუშაოთ საჭირო ძალები.

გება: გენუიდან მოსული ცნობების მიხედვით, გუშინ მოხდა ჩიჩერინისა და ბარტუს შეხვედრა. უფრო დაგვიანებით ალბერტის სასახლეში გაიმართა კერძო საუბარი ლოიდ-ჯორჯთან, შანცერთან და ბარტუსთან, რომლის მიზანსაც იყო დაწვრილებითი გაცნობა ინგლისელ ექსპერტების იმ მოხსენებისა, რომელიც ეხებოდა რუსეთთან წარმოებულ მოლაპარაკების შედეგებს.

შედეგები ჯერ ჯერობით არა ჩანს.

ბორდო, 16 აპრილი, რადიო. რუსეთის დელეგატებთან მოლაპარაკების შედეგი დღეს ჯერ-ჯერობით არ მოუცია გარკვეული და საბოლოო შედეგები (დასასრული დამახინჯებულია)

ლოიდ-ჯორჯი.

პარიზი. 16 აპრილი (რადიო) ლიტვინოვმა უარი განაცხადა გაეჩია მოკავშირეთა წინადადება. რუსეთის დელეგატმა აღნიშნა, რომ რუსეთი დაზარალდა მოკავშირეთა კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლების წყალობით. ამაზე ლლოიდ ჯორჯმა უპასუხა: ბოლშევიკებს, რომ მიუხედავათ რუსეთის ვალდებულებისა სეპარატიული ზავი არ შეეკრათ ბრესტ-ლიტოვსკში, მაშინ მათ შეეძლოთ მოკავშირეთათვის წარედგინათ ყოველგვარი მოთხოვნილებები. ამასთან ერთად ლლოიდ-ჯორჯმა მოაგონა ბოლშევიკებს რუსეთის დროებითი მთავრობასთან (კადეტებთან) არსებული შეთანხმება. ამჟამად კი მოკავშირისგან არ სცნობენ რუსეთის უფლებას მოკავშირეთადმი რაიმე მოთხოვნილებათა წარდგენისას. მოკავშირენი მხოლოდ თხოულობენ იცნოს რუსეთმა წინანდელი ანგარიშები, რათა შესაძლებელი შეიქნეს რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობის განხილვაზე გადასვლა. რუსეთის დელეგატებმა ამაზე უპასუხეს ..

(რადიო ტელეგრამის დასასრული იმ გვარად არის მიღებული რომ მისი გარჩევა შეუძლებელია)

ბორდო, 16 აპრილი (რადიო). ლიტვინოვმა წარუდგინა მოკავშირეთ მოთხოვნილება 50 მილიონი მანეთის (ოქროთი) გადახდის შესახებ იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მიაყენა რუსეთს მოკავშირეთაგან რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერებისთვის აღმოჩენილმა დახმარებამ.

მოკავშირეთა გადაწყვეტილება.

ბორდო, 16 აპრილი (რადიო). მოკავშირეთა დელეგატებმა, კერძო თათბირზე მომხდარი შეთანხმების შემდეგ, აცნობეს საბჭოთა რუსეთის დელეგაციას შემდეგი თავისი გადაწყვეტილება: მოკავშირენი არ სცნობენ რუსეთისათვის არავითარ უფლებას რაიმე მოთხოვნილებათა წარდგენის შესახებ. მოკავშირენი თვითონ მოითხოვენ გადაჭრითა და უპირობოთ ომამდე არსებული ვალების ცნობას.

რაიც შეეხება უკანასკნელი დროის ვალებს, ისინი მზად არიან განიხილონ მისი გადახდის საკითხი რუსეთის ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით.

ან ჰო, ან არა.

პარიზი, 16 აპრილი (რადიო). მოკავშირეები რუსეთის დელეგაციისათვის მიცემულ განცხადებაში, მოითხოვენ გარკვეულ პასუხს ან ჰოს, ან არას. რუსეთის საკითხის შესახებ ამორჩეული კომისია მიწვეულ იქნება მხოლოდ ასეთი პასუხის მიღების შემდეგ.

უცდიან.

ბორდო, 16 აპრილი (რადიო). 16 აპრილს, მთელი დღის განმავლობაში კონფერენციას არ უმუშავნია. კონფერენციის მუშაობის განახლება დამოკიდებულია იმ პასუხზე რუსეთის საკითხის შესახებ, რომელიც დასმული იყო მოკავშირეთაგან „თანახმად მათი ძალისა, უფლებისა და ღირსებისა“.

იმედოვნებენ.

ბორდო, 16 აპრილი (რადიო). დელეგატების წრეებში ლაპარაკობენ, რომ იმ შემთხვევაში თუ რუსეთის დელეგაცია არ მისცემს დადებით პასუხს, კონფერენცია მაინც განაგრძობს მუშაობას და განიხილავს რამოდენიმე საკითხს, მაგრამ ამას უკვე აღარ ექნება არც მნიშვნელობა და აღარც დადებითი შედეგი. მაგრამ მაინც ფიქრობენ, რომ დღეს საბჭოთა მთავრობა თავისი დელეგაციის სახით განაცხადებს დადებით პასუხს.

ხოლო.

ბორდო. 16 აპრილი (რადიო). ზოგიერთი იტალიური გაზეთები აღნიშნავენ, რომ რუსეთის საკითხი, საფრანგეთისა და ინგლისის დამოკიდებულებაში, წარმოადგენს ერთგვარ სოლს. საფრანგეთის პრესა აღნიშნავს ასეთი მოსაზრების სრულ უსაფუძვლობას. პირიქით, ლოიდ ჯორჯის განცხადება მაჩვენებელია იმისა, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის ამ საკითხში სრული თანხმობა არსებობს.

კონფერენციის მუშაობის შეწყვეტა.

ნაუენი, 16 აპრილი (რადიო) აღდგომის უქმეების გამო კონფერენციის მუშაობა შეწყვეტილია. კონფერენციის მუშაობა ალბად განახლდება ორშაბათს 17 აპრილს.

ამხ. კარახანის პროტესტი.

მოსკოვი. 16 აპრილი, (რადიო). ამხ. კარახანმა, 15 აპრილის თარიღით, დეპეშით წინადადება მისცა რომში ამხ. ბოროვსკის, პროტესტი განაცხადოს „სტეფანი“-ს ოფიციალურ სააგენტოს მიერ ამხ. ჩიჩერინის გენუაში წარმოთქმულ სიტყვის დამახინჯებისა და საბჭოთა დელეგაციის მიერ გენუიდან დეპეშების გადმოგზავნის შეფერხების შესახებ. კარახანი ავალებს ამხ. ბოროვსკის მოსთხოვოს იტალიის მთავრობას საბჭოთა დელეგაციისათვის პირდაპირ მავთულის გენუა—ბერლინი—მოწყობა, ვინაიდან სხვა დელეგატებს ასეთი პირდაპირი მავთული უკვე აქვთ. ამხ. კარახანი აღნიშნავს, რომ რუსეთი მართალი იყო, როდესაც ილაშქრებდა კონფერენციის გენუაში მოწვევის წინააღმდეგ და წინადადებას იძლეოდა კონფერენციისათვის სხვა ისეთი ადგილის გამონახვისა, საიდანაც უფრო ადვილი იქნებოდა ურთიერთობის დაჭერა. მაგრამ ანტანტამ უპირატესობა გენუას მისცა და ჩააყენა რუსეთის დელეგაცია მძიმე პირობებში თავის მთავრობასთან ურთიერთობის დაჭერის საკითხში.

მოსკოვის მუშები და კონფერენცია.

მოსკოვი. 16 აპრილი, (რადიო) მოსკოვის ქარხნების მუშები, კითხულობდნენ რა გაზეთებში ცნობებს გენუას კონფერენციის შესახებ, დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა დელეგაციის ინფორმაციას თითქმის სრულებით არა აქვს ადგილი, რის გამოც მოითხოვს მიტინგების მოწყობას. მიტინგებზე გამოირკვა, რომ საბჭოთა დელეგაცია, მოსკოვთან კავშირის დაჭერის საქმეში, იმყოფება ძლიერ მძიმე პირობებში. მიტინგებზე მიღებულ იქნა რეზოლიუციები, რომელშიც მუშები პროტესტს აცხადებენ საბჭოთა დელეგაციისათვის შექმნილი აუტანელი პირობების წინააღმდეგ: მას უძნელებენ ურთიერთობისა და კავშირის დაჭერას, ბოლოს ბურჟუაზიული სააგენტოები ამახინჯებენ მოლაპარაკების მსვლელობას და რუსეთის დელეგაციის განცხადებებს.

საფრანგეთის დელეგაცია და რუსეთის საკითხი.

მოსკოვი. 17 აპრილი, (რადიო). გაზეთ „რეჩ პოსპოლიტაია“-ს კორესპონდენტი იუწყება: 14 აპრილს საფრანგეთის დელეგაციას ქონდა მოლაპარაკება პარიზთან ახალი ინსტრუქციების თაობაზე. 15 აპრილის სხდომა როდესაც ირჩეოდა რუსეთის აღდგენის პირობებში, შეიქნა საფრანგეთისა და რუსეთის დელეგაციების ბრძოლის ასპარეზათ; საფრანგეთის დელეგაციას გადაწყვეტილი აქვს, რუსეთის აღდგენის პირობების საკითხში, არაფერი არ დასთმოს იმ პროგრამიდან, რომელიც შემუშავებულია ექსპერტისაგან ლონდონში.

რუსეთის ცნობის შესახებ.

მოსკოვი. 17 აპრილი, (რადიო). გაზეთი „მანჩესტრ გარდიენი“ აღნიშნავს, რომ დღევანდლამდის, ყოველგვარი ცდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისა, თავდებოდა სავსებით უშედეგოთ. პოლიტიკური კომისიის ქვეკომისიის უმრავლესობა, როგორც ამჟამად ეს უკვე ნათლად გამომჟღავნებულია, მოითხოვს რუსეთის ცნობას. საკითხის ამ გვარ გადაწყვეტას აშკარად მხარს უჭერს ინგლისი და იტალია.

ამერიკა და გენუა.

მოსკოვი, 17 აპრ. (რადიო). ამერიკული გაზეთები აცხადებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ კონფერენციის მუშაობას ეკონომიური პრობლემების სფეროში ექნება რაიმე დადებითი შედეგი, ამერიკამ, შესაძლებელია, მონაწილეობა მიიღოს ევროპის ეკონომიურ აღდგენაში; ამასთან ერთად რუსეთსაც აღმოეჩინება ამერიკის სათანადო დახმარება.

საფრანგეთი და გერმანია.

მოსკოვი. 17 აპრ. (რადიო). საზღვარგარეთული კორესპონდენტები იუწყებიან გენუიდან, რომ რეპარაციულ კომისიის ნოტის საპასუხოთ, ბარტუ მოითხოვდა გერმანიის დელეგაციის კონფერენციის მუშაობიდან გაძევებას. ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ საფრანგეთის თვალსაზრისის თანახმად, ანაზღაურების საკითხი არ არის შეტანილი გენუის კონფერენციის დღის წესრიგში. აღნიშნულ ნოტაზე მოცემულ გერმანიის პასუხს არ შეუძლია იქონიოს რაიმე გავლენა გერმანიის დელეგატების კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობაზე.

ოქროს პროპორციონალურად განაწილების შესახებ.

მოსკოვი, 17 აპრ. რადიო. საფინანსო კომისიის სხდომაზე, რაკოვსკიმ, თავის ვრცელ სიტყვაში, დაასურათა რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ განცხადებამ, რომ 6 | 7 რუსეთის მთელი ბიუჯეტისა იფარება სახელმწიფოებრივი შემოსავალით, ხოლო 1 | 7 ქაღალდის ფულების გამოშვებით. შემდეგ რაკოვსკიმ აღნიშნა, რომ რუსეთი დიდ მნიშვნელობას აძლევს ფინანსების საკითხის მოწესრიგებას და ამ მიზნით მან წითელი არმიის დემობილიზაცია მოახდინა. თავის სიტყვის დასასრულს რაკოვსკი ამტკიცებდა, რომ საერთაშორისო ფინანსების გაჯანსაღება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ის ოქრო, რომელიც მრავლად არის დაგროვილი სხვადასხვა ქვეყნებში და განსაკუთრებით ამერიკაში, პროპორციონალურად განაწილებული იქნება ყველა ქვეყნებს შორის

პრემიერების თათბირი.

მოსკოვი, 17 აპრ. რადიო. გენუაში გაიმართა ორი კერძო თათბირი პრემიერებისა ჩიჩერინის მონაწილეობით. პირველ თათბირს არ დაესწრო საფრანგეთის წარმომადგენელი, მეორეს კი იგი დაესწრო. ორივე თათბირი დიდხანს გაგრძელდა. პოლონეთისა და რუმინეთის შორის დელეგატებს განწყობილება ამ თათბირის შემდეგ პესიმისტურია.

გენუა და აღმოსავლეთი.

პარიზი. გაზეთი „ტანი“ ბეჭდავს კონსტანტინოპოლიდან მიღებულ კორესპონდენციას შემდეგი სათაურით: „ნავთი, გენუა და ინგლისის აღმოსავლეთის პოლიტიკა“. კორესპონდენტი სწერს: „საზოგადოებრივი აზრის ყურადღება მიპყრობილია მხოლოდ გენუის კონფერენციისაკენ. აღმოსავლეთის საკითხი თითქოს ხელ ახლავ დაივიწყეს. მიუხედავათ მრავალი დაჟინებითი მოთხოვნისა და პროტესტებისა, ოსმალეთი არ არის მიწვეული კონფერენციაზე. აქედან შეიძლება ისეთი დასკვნა გამოვიტანოთ, რომ აღმოსავლეთის საკითხი გაირჩევა რუსეთის საკითხის დამოუკიდებლივ-არსებითად, თუ აღმოსავლეთის საკითხი ამდენათ გამწვავდა, ეს მოხდა უმთავრესად იმის წყალობით, რომ აღმოსავლეთის ერები და განსაკუთრებით ოსმალეთი იღებდენ სერიოზულ დახმარებას მოსკოვიდან. შეიძლება წინდაწინ ვსთქვათ, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც საბჭოთა რუსეთის ერთ უძლიერეს იარაღათ გადაიქცევა აზიის აჯანყება. ოსმალეთი აუცილებლად დიდ და მნიშვნელოვან როლს ითამაშებს იმ ტრაგედიაში, რომელიც დღეს იწყება აზიასა და ევროპაში და რომელიც სურთ გენუაში გადასწყვიტონ. მაგრამ შეუძლებელია რაიმე იმედი ვიქონიოთ ამ მხრივ გენუის კონფერენციის შედეგებზე, თუ ეს პრობლემა აღებულ და განხილულ არ იქნება მთელი თავისი შინაარსით, თუ შესწავლილი და გამორკვეული არ იქნებიან ყველა ის მიზეზები და ფაქტორები, რომელთაც ხელი შეუწყეს ანტი-ევროპიულ კავშირს ულტრა-რევოლიუციონურ მოსკოვისას ულტრა-კონსერვატიულს ოსმალეთთან. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების ნანგრევებზე ამიერ-კავკასიაში იქნება ახალი გრანდიოზული მაჰმადიანური კონფედერაცია, რომელიც თავის გარშემო რაზმავს აღმოსავლეთის მთელ მაჰმადიანობას. იგი ავრცელებს თავის გავლენას ნავთით მდიდარ ადგილებზე, რომელიც იწყება კავკასიის მთის გრეხილებიდან სპარსეთის ზღვის ყურემდე, რუსეთის თურქესტანიდან ოსმალეთის მესოპოტამიამდის, რომელიც ინგლისმა დაიკავა ომის გამოცხადებისთანავე. მართალია ინგლისელებმა რუსეთ-მაჰმადიანთა ძალების შემოტევის გამო მოახდინეს კრასნოვოდსკის, ბაქოს, ენზელისა და თეირანის ევაკუაცია, მაგრამ, ცხადია, რომ ინგლისს უარი არ განუცხადებია თავის მიზნებზე. თავისთავათ გასაგებია, რომ საკმარისი არ არის ნავთით მდიდარ ადგილების დაკავება, არამედ საჭიროა კიდევ ისეთი პირობების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს ამ სიმდიდრეთა ექსპლოატაციას. სწორედ ამიტომ დღესდღეობით ნათელია ის გარემოება თუ რისთვის მიუსია ინგლისმა აღმოსავლეთი დასავლეთს; სწორედ იმიტომ, რომ განაცალკევოს ოსმალეთი, დაასუსტოს იგი, რათა საჭირო შემთხვევაში ხელი ჩასჭიდოს სპარსეთს და თუ შესაძლებელი იქნება კავკასიასაც. ბოლშევიკები კი სარგებლობენ ინგლისის ამ პოლიტიკით და ქმნიან გეგმებს აღმოსავლეთში თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად!

რუსეთის პრობლემა.

კომისია № 1.

ჰანნოვერი. 15 აპრილი. (რადიო). კომისია № 1 ქვეკომისიის სხდომა, რომელზედაც უნდა გარჩეულიყო რუსეთის პრობლემა, პირველად გადადებულ იქნა 10 დან 14 აპრილისათვის, მაგრამ შემდეგ ინგლისელების წინადადებით სხდომა გადადებულ იქნა 18 აპრილისათვის. შესაძლებელია, რომ ამ ქვეკომისიის სხდომა გადადებულ იქნეს გამოურკვეველ დროისათვის.

კერძო თათბირი.

ჰანნოვერი. 15 აპრილი. (რადიო). რუსეთის საკითხის შესახებ ამორჩეულ ქვეკომისიების სხდომის გადადება გამოიწვია იმ კერძო თათბირებმა, რომელიც გაიმართა დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა და ჩიჩერინ-ლიტვინოვის შორის. ეს თათბირები უკვე დაიწყო. 14 აპრილს მოხდა ხანგრძლივი თათბირი ლოიდ-ჯორჯთან. რუსეთის წარმომადგენლებმა მისცეს თათბირის მონაწილეთ დაწვრილებითი ახსნა განმარტებანი და სხვათა შორის განაცხადეს, რომ რუსეთი მიიღებს თავის თავზე ვალდებულებათ ისე, როგორც სხვა მთავრობანი, მაგრამ ამასთანავე ის ამას უპირისპირებს რუსეთის მოთხოვნილებას მიყენებულ ზარალის ანაზღაურების შესახებ.

ნაუენი. 16 აპრ. (რადიო) დიდ სახელმწიფოთა დელეგატებს 14 აპრილს ხანგრძლივი თათბირი ქონდათ ჩიჩერინთან და ლიტვინოვთან.

რუსეთის დელეგაციის განცხადება.

ბერლინი. 16 აპრ. (რადიო). რუსეთის დელეგაციამ გამოაქვეყნა თავისი განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ რუსეთი პრინციპიალურად სცნობს თვითეული მთავრობის პასუხისმგებლობას მიყენებული ზარალის შესახებ. ამასთან ერთად რუსეთის დელეგაცია მოითხოვს მიეცეს მას უფლება წარადგინოს მოხსენება მისთვის მიყენებული ზარალის შესახებ.

ბორდო. 15 აპრ. (რადიო). მოკავშირეებთან გამართულ თათბირზე რუსეთის დელეგატებმა განაცხადეს, რომ რუსეთი სცნობს თავის ომამდე არსებულ ვალებს. შეეხო რა ომის დროინდელ ვალებს, რუსეთის დელეგაციის ყოფა-ქცევამ კონფერენციამ დაინახა რუს-დელეგატებში ზრდილობიანი და ჭკვიანი ევროპიელები, რომლებსაც მეთაურობს აზრის დიდი სიმძლავრის მატარებელი პირი. საბჭოთა დელეგაციამ შესძლო საერთო სიმპატიის მოპოვება.

„ფუსიშე ცეიტუნგი“ სწერს: თუმცა ლოიდ-ჯორჯი გამოვიდა შუამავლის როლში, მაგრამ ის არსებითად დადგა ჩიჩერინის მხარეზე. რუსეთი ბრუნდება ხალხთა საზოგადოებაში თავის ძალების სრულებით შეგნებით.

საფრანგეთის დამარცხება.

ლონდონი, 11 აპრილი. რადიო. (მოსკოვით) წინასწარი კამათის დროს ცალკე ქვე-კომისიების დარსების საკითხის შესახებ გამოაშკარავდა დიდი უთანხმოება. ინგლისელები და იტალიელები წინადადებას იძლეოდნენ შეედგინათ ქვეკომისია კონფერენციის მომწვევ სახელმწიფოების ხუთ წარმომადგენლებისაგან და რუსეთის და გერმანიის ორი წარმომადგენლისაგან. საფრანგეთი და ბელგია ამის წინააღმდეგი იყვნენ. მაშინ ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: „ასეთ შემთხვევაში უკეთესია სულ არ გავხსნათ კონფერენცია, რადგან ჩვენ განზრახვა გვაქვს გამოვრიცხოთ იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომელთაც სურთ დაუბრუნდნენ ევროპის ხალხთა ოჯახს“.

ინგლისისა და იტალიის გამარჯვება ამ საკითხში მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მთელი საფრანგეთის პრესა აცხადებდა, რომ საფრანგეთი არასოდეს არ დასთანხმდება, რათა რუსეთი და გერმანია სარგებლობდნენ კონფერენციაზე მეტი უფლებებით, ვინემ პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია.

კონფერენციის ხანგრძლივობა.

ჰანოვერი, 10 აპრილი. რადიო. (მოსკოვით). გენუაში ფიქრობენ, რომ კონფერენციის გამარჯვების შანსი გაძლიერდა, კონფერენცია გაგრძელდება 4 კვირა.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ირლანდიაში

ბორდო, 13 აპრილი რადიო. მდგომარეობა ირლანდიაში საგრძნობლად გამწვავდა. ირლანდიის დროებითი მთავრობის უფროსმა კოლინსმა თავის უკანასკნელ სიტყვაში სთქვა: თუ ექსტრემისტები განაგრძობენ ძველებურად მოქმედებას, მაშინ სამოქალაქო ომის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ სასწრაფო მოქმედებით.

ჰანოვერი, 13 აპრილი რადიო. „ივინინგ ნიუზის“ ცნობით ჩერჩილს ეშინია ირლანდიაში სერიოზული უწესობისა საღდგომო დღეებში ე. ი. სინფეინერების აჯანყების წლის თავზე.

ნაუენი, 13 აპრილი რადიო. კოლინსსა და დე-ბალერს შორის მოხდა თათბირი დროებითი მთავრობას და რესპუბლიკანელებს შორის დროებითი ზავის პირობების გამოსარკვევად. ეს თათბირი შედგა არხიეპისკოპოსის და დუბლინის ლორდმერის შუამდგომლობით ლონდონის პოლიტიკურ წრეებში მდგომარეობას მეტად სერიოზულად და საშიშრად სთვლიან. თუ შეთანხმება მიღწეულ იქნა, შესაძლებელია რესპუბლიკის გამოცხადება.

გერმანია-ქალები.

ჰანოვერი. 13 აპრილი რადიო. გერმანიის რეიხსტაგმა მიიღო კანონპროექტი ქალების სამოსამართლო პოსტებზე დაშვების შესახებ.

ინგლისი და საფრანგეთი.

პარიზი, 13 აპრილი. რადიო პარიზის გაზეთები გამოსთქვამენ რწმენას საფრანგეთ ბრიტანეთის ერთობის სიმტკიცის შესახებ. საერთოდ საფრანგეთ-ბრიტანეთის ურთიერთობა ამ უკანასკნელ ხანებში მტკიცდება. „ფიგაროს“ აზრით, საფრანგეთის პოლიტიკური წრეები აღარ შიშობენ უკვე, რომ რუსეთის რევოლიუცია და ბოლშევიკების ლოზუნგები შეარყევენ დამყარებულ წესრიგს. რევოლიუციონური აჯანყებები ევროპაში შემდეგში აღარ არი მოსალოდნელი.

საფრანგეთი თავს იმართლებს.

ბორდო, 13 აპრ. (რადიო). „ნიუ ტრიბუნ“-ს მოჰყავს გამოჩენილი ფრანგ მოღვაწეთა აზრები სამხედრო სამსახურისათვის წლინახევრიანი ვადის დაცვის და მრავალი ჯარის შენახვის აუცილებლობის შესახებ.

ეს აზრი მდგომარეობს იმაში, რომ თუ ამერიკა თავის პოლიტიკას დაამყარებს იმ პრინციპებზე, რასაც საფრანგეთი, სთვლიდა აუცილებლად ვერსალის ხელშეკრულების კანონიერების დასაცავად, მაშინ ამერიკას მოუხდებოდა თოფს ქვეშ არა ნაკლები ნახევარი მილიონი კაცის ყოლა.

აღმოსავლეთში.

საბერძნეთ ოსმალეთის დროებითი ზავის შესახებ.

ბორდო, 13 აპრ. (რადიო). მოკავშირეებმა მოაგონეს ათინას, რომ მათ ნოტის გაცემ 2 მარტიდან საბერძნეთ-ოსმალეთის დროებითი ზავის შესახებ ჯერ არავითარი პასუხი არ მიუღია. ერთდაიმავე დროს სტამბოლში უმაღლეს კომისრებმა მიიღეს მინდობილობა განუცხადონ ანგორის მთავრობას მისი მოთხოვნილების საპასუხოდ მოლაპარაკებამდე ბერძნების მიერ მცირე აზიის ევაკუაციის შესახებ, რომ მოკავშირეების გატარების, და თხოულობენ 27 მარტის ნოტაში აღნიშნულ პირობების მიღებას.

საბერძნეთი უარყოფს.

პარიზი 13 აპრილი რადიო. საბერძნეთის მისია პარიზში უარყოფს ინგლისის ცნობებს იმის შესახებ, რომ თითქოს ათინა უარს ამბობდეს დროებითი ზავზე. ათინის მთავრობამ უარი განაცხადა მხოლოდ ანგორის კონტრ წინადადების მიღებაზე.

საბერძნეთ-ოსმალეთის ფრონტზე.

ანგორა. 8 აპრილი რადიო კოჯაალის მიმართულებით ოსმალეთის რაზმმა, წაიწია რა მტრის წინა ხაზზე, ჩაიგდო ხელთ ტყვეები, ტყვიისმფრქვეველები და სამხედრო წყობილება. ბერძნებმა დაკარგეს 30 კაცი მოკლული. აფიონ კარაგისარის მიმარ ჩვენმა დამკვრელმა ნაწილმა, შეიჭრა რა ბრძოლაში მტერთან, მიაყენა მას დიდი ზარალი ხელთ იგდო ტყვეები, ტყვიის მფრქვეველები და სამხედრო წყობილება.

საბერძნეთს იმედი აქვს.

ანგორა. 8 აპრილი, რადიო. ბერძნულ გაზეთ „ანატოლიას“ ცნობით, სმირნაში მივიდა პაპულასი, რომელმაც გამოთქვა რწმენა, რომ სმირნა დარჩება საბერძნეთს. საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბალტაჯიმ განაცხადა თურქებთან მოლაპარაკების სასურველად დამთავრების შესაძლებლობის შესახებ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ეკლესიის განძეულობა დამშეულთათვის

მოსკოვი. 13 აპრილი (რადიო) კიევში საეკლესიო განძეულობის ჩამორთმევა გრძელდება. 6 აპრილს დაიწყეს კიევო-პეჩორის ლავრის განძეულობის ჩამორთმევა. სამღვდლო საბჭო დახმარებას უწევს კომისიას მუშაობაში. დიდათ საინტერესოა ლავრიდან ბრილიანტის გულის ჯვარის ჩამორთმევა, რომელიც მშვიდობიან დროში შეფასებული იყო 100.000 მ. საეკლესიო საბჭომ ჩააბარა კომისიას ბევრი ოქროსა და ვერცხლის ნივთები. შემდეგ რიგში განძეულობას ჩამოართმევენ მიხეილის მონასტერს და სოფიის ტაძარს. 6 აპრილს დაიწყო განძეულობის გამოტანა ებრაელების სინაგოგებიდან, კასტელებიდან და ლუთერანთა საყდრებიდან.

ტამბოვის გუბერნიის სოფელ რასკაზოვის სამღვდელოებამ დამშეულთა სასარგებლოდ გადასცა ვერცხლის და ოქროს ორდენები. პერმში ქალაქის სისხლის სამართლის მილიციამ გაჩხრიკა მღვდლები ლუკიანიკოვი და სპერანსკი, რომლებიც აწარმოებდნენ აგიტაციას საეკლესიო განძეულობათა ჩამორთმევის წინააღმდეგ. გაჩხრიკის დროს მათ უნახეს სხვა და სხვა საეკლესიო ნივთები.

პოლტავის მაზრის გლეხებმა თავისნებით ჩააბარეს ნახევარ ფუთამდე საეკლესიო განძეულობა.

მეზლანსკში უპარტიოთა ფართო კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიდაც მოითხოვს ეკლესიებიდან განძეულობის საჩქაროდ გამოტანას მილიონ დამშეულთა დასახმარებლად. მეზღვაურთა საერთო კრებამ ადესაში მოითხოვა ადგილობრივ ხელისუფლთაგან ეკლესიებიდან განძეულობის გამოტანის შესახებ გამოცემულ დეკრეტის საჩქაროდ შესრულება.

— ადესის გუბერნიის [illegible] ლის რაიონის მორწმუნეებმა დაადგინეს თხოვნა [illegible] საბჭოს საეკლესიო განძეულობის საჩქაროდ ჩამორთმევის შესახებ.

ქრონიკა

◆ **ბოტანიკურ ბაღში.** წარსული თვის განმავლობაში თბილისის ბოტანიკურ ბაღი დაათვალიერა 3,000 ფასიანმა მნახველმა.

ბაღის ადმინისტრაციის ნებადაურთველად ყვავილების მოწყვეტისა და ნერგების წახდენისათვის დადგენილია ჯარიმა 50,000 მანეთი. გასული თვის განმავლობაში ბაღს ეწვია ექსკურსიები: ამიერ-კავკასიის პროფკავშირების ყრილობის წევრებისა, მიწა ტყის პროფკავშირის წევრებისა და თბილისის ტეხნიკუმების მაღალ კლასების მოწაფეებისა. დარჩა წმინდა შემოსავალი 8.100.000 გაწეულ ხარჯების თანხა უნდა წარმოვიდგინოთ როგორც დახმარება განათლების და ხელოვნების მუშაკთა კავშირის უმუშევართათვის, რადგან წარმოდგენაში და კაბარეში ღებულობდნენ მონაწილეობას მხოლოდ უმუშევარი მსახიობები და მუშები.

◆ **ცენტრალური სტატისტიკური სამართველოს ბიულეტენი № 1—2 გ.** გამოვიდა და იყიდება ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ბიულეტენი № 1—2. ფასი 30 000 მან.

◆ **პოლიტიკურ განათლების მთავარ მართველობის ბოსტანი.** [illegible] ქუჩაზე პოლიტგანათლების მთავარმა მართველობამ დაიჭირა მიწა ბოსტნისათვის, რომლის ექსპლოატაციაც იწარმოებს კომერციულ დასაწყისზე. მიწის სივრცე უდრის 750 ოთხკუთხ საჟენს, აქედან 300 საჟენი არის ბაღი, რომელშიც 100 ძე ხეხილია, 400 ოთხკუთხი საჟ. კი დახნულია საბოსტნედ, რომელზედაც დათესავენ ბადრიჯანს, პილპილს და სხვა მწვანილს.

თეატრი და ხელოვნება

◆ **ქართველ მსახიობთა ყრილობა.** განზრახულია მაისში მოწვეულ იქნეს ქართველ მსახიობთა ყრილობა. საინიციატივო ჯგუფი უკვე შეუდგა სამზადის და პროვინციებში მყოფ მსახიობებს დაუგზავნა შესაფერი მოწოდებები.

◆ **ვ. ანჯაფარიძის სალამო.** უახლოეს ხანში, რუსთაველის თეატრში, გაიმართება ვ. ანჯაფარიძის სალამო. სალამოსათვის მზადდება, პირველად ქართულ სცენაზე, ოსკარ უაილდის „სალომეია“ შალვა ამირეჯიბის თარგმანით. „სალომეიას“ როლს შეასრულებს ვ. ანჯაფარიძე.

◆ **პოეზიის ტრადიციული დღე.** ხელოვანთა კავშირი 7 მაისისათვის შეუდგა მზადებას. ამ დღეს გამოვა გაზეთი „პოეზიის დღე“ და თეატრებში გაიმართება სალამოები.

◆ **ოპერის საგაზაფხულო სეზონის გახსნა** 17 აპრილს გაიხსნა ოპერის საგაზაფხულო სეზონი. წარმოდგენილი იქნა, მხიარული ოპერეტა „გეიშა“. დღეს წარმოდგენილი იქნება „კარმენი“ მუსიკა ბიზესი. ხუთშაბათს, 21 აპრილს—„ბოჰემა“ მუსიკა პუჩინისა, შაბათს, 23 აპრილს—„ბატერფლეი“ და კვირას, 27 აპრილს—„სილვა“.

◆ **გაზეთ „წითელ არმიელის“ ორ კვირეული დამატება „წითელი ყვავილები“.** საალდგომოთ გამოვიდა გაზ. „წითელ არმიელის“ დამატება: „წითელი ყვავილები“. მონაწილეობენ: სანდრო ეული, ს. ერთაწმინდელი და სხ. დამატება შეიცავს 8 გვერდს დიდი ფორმატისა და ღირს 5000 მან.

◆ **კინო სურათი „წყევლა“.** კინო-სექციის მსახიობთა ჯგუფი რეჟისორ ბარსკის მეთაურობით წავიდა თელავში „წყევლის“ სურათის გადასაღებათ; ყველა გადაღება ნატურიდან წარმოებს ხევსურეთში.

◆ **წარმოდგენა-კონცერტი უმუშევართა სასარგებლოდ.** სახელმწიფო ს ოპერო თეატრში და რესტორან მეფისტოში გამართულმა წარმოდგენამ და კონცერტმა შემოიტანა სულ 63.550,000 მანეთი დაიხარჯა 55,450,000 მან.

◆ **დღეს თეატრებში.** სახელმწიფო ოპერა „კარმენი“, რუსთაველის თეატრი: როცა ალაპარაკდება გული, პატარა თეატრი ოტელო სომხურად. რევ. მხატვრულში მეალის ძალი. სახალ. სახ: სასჯელი. მუშ. ცენტრ. კლუბი: სალამო კონცერტი. ახალი თეატრი მ. ც. კ. კინო საქ. წით. ლაშქრის ცენტრალურ კლუბი—სომხურად წარმოდგენა. საკმერო თეატრი—სომხური წრე, ბოგემა—იუმორისტული პროგრამა, პროფკავშირთა საბჭოს დარბაზი—სალამო-კონცერტი. კონსერვატორია—ნატკოვიჩის კონცერტი, ცირკი—მრავალფეროვანი პროგრამა, არფისტო—[illegible], სარკის—მათხოვარი ქალი, კინო არსი ნიუიორკის საიდუმლოებანის მე 9 სერია.

სათეატრო მუზეუმის და წიგნთ-საცავის დაარსება

მსახიობმა შალვა დადიანმა, სათეატრო სექციის სახელით, ხელოვნების მთავარი კომიტეტს და განათლების კომისარს, სათეატრო მუზეუმისა და წიგნთ-საცავის დაარსების შესახებ, წარუდგინა შემდეგი მოხსენება—პროექტი: „თბილისი სამართლიანად ითვლება თეატრალურ ქალაქად. მას თავის სცენაზე უნახავს ევროპასა და ამერიკაში სახელმოხვეჭილი არტისტები; მას უხილავს ოპერასა და დრამაში ზოგჯერ დიდათ მხატვრული წარმოდგენები; განუცდია სისტემატიური და ფრიად სერიოზული მუშაობა თეატრალურ სფეროში. ყოველივე ამას, გარდა მორალურისა, აქვს ამჟამად ხელშესახები დანატოვარი, ნივთიერი რაიმე ნაშთი, ასე ვსთქვათ, ერთგვარი ნადავლი გადახდილი ბრძოლისა. ასეთი მასალები მოიპოვება, როგორც ქართულ დრამისათვის თვით გიორგი ერისთავიდან მოყოლებული, თანამედროვე თვალსაჩინო მსახიობამდე, აგრეთვე სომხების სათეატრო მოღვაწეობიდან, როცა ერთ დროს თბილისში ბრწყინავდა მშვენიერი ხელოვან ადამიანის სახელი და რუსული დრამისაც, იმ დროიდან, როდესაც თბილისში თავის სასცენო მოღვაწეობას იწყებდნენ ამიერიდან სახელ განთქმული მოღვაწენი, მაგალითად, მოსკოვის პატარა თეატრის დიდი მსახიობები. ასევეა ოპერაშიაც: დიდი იტალიელები და მშვენიერი მომღერლები რუსული ოპერისა, ყველა ამათ თავისი კვალი დაუჩნევიათ თბილისის სათეატრო ისტორიისათვის და დიდ უმრავლესობისათვის არის დარჩენილი რაიმე ნივთიერი მოგონება: სურათი, ხელთნაქონი ნივთი, წიგნი, როლების რვეული, მირთმეულ გვირგვინის ლენტი და სხვა ბევრი ამგვარი.

მაგრამ ამ ჟამად ყოველივე ეს გაბნეულია სხვა და სხვა დაწესებულებაში და კერძო პირთა შორის, არ არსებობს (გამონაკლისს გარდა) არავითარი აღწერილობა და არავითარი სისტემა მათი დაცვისა და შენახვისა, ხოლო, რაც ყოველიკეზე უფრო უარესია, დიდძალი ამგვარი მოსაგონარი და სამუზეუმო ნივთები გამოაქვთ ბაზარზე გასაყიდათ. და, თუ ჩვენ გვინდა, რომ ასეთი კულტურული განძი შევუნახოთ შთამომავლობას და მადლობით მოვიხსენიოთ წარსულში პირნახული დაწესებულებანი და მოღვაწენი სათეატრო სფეროისა, მაშინ აუცილებლათ საჭიროა დაარსდეს „სათეატრო მუზეუმი და წიგნთსაცავი“.

ერთი სიტყვით, უნდა მოხდეს სრული ცენტრალიზაცია სათეატრო ნაშთებისა და გამოცემათა. განზრახულ მუზეუმში თავმოყრილი იქნეს ყოველივე ის, რაც თვალსაჩინო და სახასიათო დანატოვარი არსებობს ამ ჟამად თბილისში და პროვინციაში. აგრეთვე უნდა მოხდეს გამოცემების შესახებ, რომელიც დღევანდელ სხვადასხვა დაწესებულებებიდან უნდა გადმოეცეს ხსენებულ მუზეუმსა და წიგნთსაცავს, რათა სისტემაში იქნეს ყოველივე ეს მოყვანილი.

დაახლოებით, მუზეუმში უნდა მოთავსდეს, სახელდობრ: 1) პროგრამები და ლიბრეტოები თეატრების დაარსების პირველ დღიდან. 2) სანიმუშო პიესები რეჟისორების შენიშვნებით [illegible]. 3) ინსცენიროვკების ნიმუშები 4) მაკეტები. 5) დეკორაციათა ნიმუშები. 6) კოსტიუმებისა და პარიკების ნიმუშები, 7) გრიმების მონახაზი, 8) ტიპები, ანუ ტიპაჟები. 9) სახასიათო ნიმუშები ბუტაფორიისა და რეკვიზიტის, 10) სცენის მოწყობილებათა, სათეატრო ტეხნიკის და თვით თეატრების მოდელები 11) სქემა და ექსპონატები სათეატრო სახელოსნოს სახასიათო ნამუშევართა (ნედლი მასალა, ინსტრუმენტები, ფაბრიკატები) 12) სხვადასხვა თვალსაჩინო სალამოებისა და სახალხო ზეიმების პროგრამები და აფიშები 13) თეატრის ისტორიული ექსპონატები. 14) სქემები სათეატრო დარგთა ისტორიისა ყველა ენებზე და საქართველოს ყველა მომუშავე დასისა შესახებ“.

პროექტში, აგრეთვე, აღნიშნულია ბინის საჭიროება და გათვალისწინებულია ერთდროული და მიმდინარე თანხის რაოდენობა.

წარმოებითი პროფკავშირებში

ცირკულიარულიდ № 20.

ყველა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს, სამაზრო პროფბიუროებს და სამაზრო განყოფილებებს.

ახლო მომავალში დაიწყება შტატების შემოკლება ყველა წარმოებებსა და დაწესებულებებში. ჩვენ ხელში არსებულ ცნობების მიხედვით სამეურნეო ორგანოები გვერდს უხვევენ კავშირებს შტატების შემოკლების დროს და ანგარიშს არ უწევენ შემოკლების წესებს, რაც იხატება იმაში, რომ არ ექცევა სათანადო ყურადღება მუშების და მოსამსახურეების კვალიფიკაციას, მუშაობის ხანგრძლივობას, სინდისიერ ასრულებას და სხვ.

მჭიდრო და განუწყვეტელი კავშირის უქონლობა სამეურნეო ორგანოებთან ბუნებრივად იწვევს ბევრ გაუგებრობას და კანონიერების დარღვევას სამეურნეო ორგანოების მხრივ.

იმ მეტად სერიოზული საკითხის უმტკივნეულოდ გადაჭრის მიზნით, ყველა კავშირებმა უნდა მიიღონ ყველა მათგან დამოკიდებული ზომები, რომ დაამყარონ მჭიდრო კონტაქტი სამეურნეო ორგანოებთან ამ დიდ მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო საქმეში. შტატების შემოკლების დროს კავშირებმა უნდა იქონიონ ყველა საჭირო მასალები, დადებითი მუშაკების ინტერესების დაცვის მიზნით და უნდა მიაწოდონ სამეურნეო ორგანოებს სწორი შეფასება მათი კვალიფიკაციის, შრომის უნარის და პატიოსნების შესახებ.

შესაძლებელია აგრეთვე სამეურნეო ორგანოებმა მოახდინონ შტატების შემოკლება შრომის ინვალიდების, ქალების და მცირე წლოვანთა ხარჯზე. ჩვენი სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების ფინანსიური სისუსტის გამო, კავშირებს მართებთ იბრძოლონ ამ ანორმალობის წინაალმდეგ, რადგანაც მათი სავსებით უზრუნველყოფა საბჭოთა ორგანოებს არ შეუძლიათ და აგრეთვე დაუშვებელია, რომ შტატების შემოკლება ხდებოდეს მუშებისა და მოსამსახურეების რომელიმე ერთი ჯგუფის ანგარიშზე.

ყველა დეფექტები მნიშვნელოვანად შესუსტდება მხოლოდ კავშირების საქმიანი მონაწილეობით და გამოხმაურებით.

ს. პ. კ. ს. მდივანი: კ. ოდილავაძე

ცირკულიარულად № 23.

ყველა კავშირების ც. გამგეობებს, სამაზრო პროფბიუროებს და სამაზრო განყოფილებას.

იმის გამო, რომ ამჟამად წარმოებულ შტატების შემოკლების დროს აღნიშნულია ანორმალური მდგომარეობა, როდესაც შემოკლება ხდება მუშა-ქალების ანგარიშზე, ს. პ. კ. საბჭო წინადადებას აძლევს ყველა საკავშირო ორგანიზაციებს, რომლებიც უნდა იცავდენ ერთნაირად როგორც მუშების ისე მუშა ქალების ინტერესებს, მიიღონ გადამჭრელი ზომები აღნიშნულ ანორმალურ მოვლენების თავიდან ასაცილებლად და სასტიკი თვალყური ადევნონ იმას, რომ შტატების შემოკლების დროს არ ეძლეოდეს რაიმე უპირატესობა მუშა ქალების წინაშე მუშა მამაკაცებს და შემოკლებას დაედოს საფუძვლად შემდეგი პრინციპები: კვალიფიკაცია, სპეციალიზაცია განსაზღვრულ დარგში, მუშაობის ხანგრძლივობა და სხვ.

აღნიშნულ ანორმალურ მოვლენის წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორც ერთერთი ზომა, საკავშირო ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ შტატების შემოკლების საქმეში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიონ მუშა ქალების წარმომადგენლები.

ს. პ. კ. ს. მდივანი კიკნაძე.

საორგან. განყოფ. გამგე ოდილავაძე.

ქალთა შორის პასუხისმგებელი ორგანიზატორი: ალექსანდროვა.

რ. პ. კ. ც. ს. ამიერ-კავკასიის ბიუროში.

კავშირების და კავშირთა შორის ორგანოების ურთიერთ დამოკიდებულების და სამუშაო ხელფასის მოწესრიგება.

რ. პ. კ. ც. ს. პლენუმის და ამიერკავკასიის პროფ კავშირთა. პირველ ყრილობის დადგენილებათა თანახმად კავშირის მუშაობის სიმძიმის ცენტრი საერთოდ, და კერძოდ ტარიფისა, გადატანილია კავშირთა შორის გაერთიანებიდან თვით კავშირებში. ამასთან შეფარდებით იცვლება კავშირის ორგანოების ურთიერთ დამოკიდებულებანი და ფუნქციები ხელფასის მოწესრიგების სფეროში. ცალკე წარმოებებში სამუშაო ხელფასის ოდენობის განსაზღვრის და ცხოვრებაში გატარების პრაქტიკულ მუშაობას ასრულებს პროფკავშირი, მის მაღლა მდგომ კავშირის და კავშირთაშორისო ორგანოების დირექტივების თანახმად. კავშირთა-შორისო გაერთიანება აწარმოებს მხოლოდ სატარიფო პოლიტიკის ხელმძღვანელობას და უთანხმებს მას ცენტრის მიერ დამყარებულ საერთო ხაზს. დაწვრილებითი დებულებების გამომუშავებამდი, რ. პ. კ. ც. ს. ამიერ კავკასიის ბიუროს სატარიფო ეკონომიური განყოფილება წინადადებას აძლევს საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკების ყველა პროფკავშირების საბჭოებს და განყოფილებათა ცენტრალურ გამგეობებს იხელმძღვანელონ შემდეგით: პროფკავშირთა ვალდებულებას შეადგენს შემდეგი ამოცანები: 1) კოლექტიურ ხელშეკრულებათა გამომუშავება, აღებულ შრომის დარგთან შეფარდებით, 2) ცალკე წარმოებათა მუშების, მწარმოებელთა, სამეურნეო ორგანოების და სხვათა სახელით კოლექტიური ხელშეკრულებების დადება, 3) იმ კონფლიქტების განხილვა-განმარტება, რომლებიც აღმოცენდნენ წარმოებებში და მათი რაც შეიძლება უმტკივნეულოდ მუშათათვის მაქსიმალურ მოგებით გადაწყვეტა, 4) მუშათა წარმომადგენლების და შემფასებელ საკონფლიქტო კომისიებისადმი ინსტრუქციების მიწოდება და მათ მუშაობისათვის სწორი მიმართულების მიცემა. 5) მრეწველობის აღებულ დარგის საგეგმო ორგანოში წარმომადგენლის გაგზავნა, 6) საქარხნო კომიტეტების, შრომის დაცვის და ტეხნიკურ უშიშროების კომისიების მუშაობის ხელმძღვანელობა. 7) ინსტრუქციების დამუშავება, არსებულ დებულებათა განვითარება, მრეწველობის რომელიმე დარგთან შეფარდებით. კავშირთა შორის გაერთიანების ამოცანები შემდეგია: 1) სამაგალითო კოლექტიურ ხელშეკრულების გამომუშავება, 2) კოლექტიურ ხელშეკრულების წინასწარ შეთანხმება და მისი შემდეგი რეგისტრაცია, 3) სამუშაო ხელფასის მინიმუმის დამყარებაში მონაწილეობის მიღება. 4) ყველა სახელმწიფო გეგმიან ორგანოებში წარმომადგენლის გაგზავნა. 5) საერთო ხასიათის დებულებათა და ინსტრუქციების დამუშავება, გაერთიანებულ რაიონთან შეფარდებით. 6) გაერთიანებულ კავშირების მუშაობის შეთანხმება და აღრიცხვა. 7) ინსტრუქციების მიცემა ტარიფის ცალკე საკითხების შესახებ. 8) აღებულ ადგილის უმაღლეს საკონფლიქტო ორგანოებში მონაწილეობის მიღება.

პროვინციაში

სენაკის მაზრა.

9 აპრილს შესდგა ზემო ჭოლადის თემის მცხოვრებთა მასიური კრება. კრებას დაესწრო სამი მეოთხედი მცხოვრებლებისა. თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ლუკა ღვამუჩავა, მდივნათ სამსონ დავითაია. მოხსენებას აკეთებს მაზრიდან ჩამოსული პარტკომის რწმუნებული ამხ. თედიოზ ტაბალუა: 1) თესვის კამპანია და 2) თანამედროვე პოლიტიკურ მომენტზე.

ამხ. თ. ტაბალუას მოხსენების შემდეგ კრებამ იქონია მსჯელობა ზემოხსენებულ საკითხების შესახებ და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: კრება ერთხმად იმედს გამოსთქვამს, რომ მუშათა და გლეხთა ინტერესების გამომხატველი მთავრობა შეძლებისადა გვარად აღმოგვიჩენს დახმარებას, და ჩვენ კი მუშები და გლეხები ფიცსა ვსდებთ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, რომ გამოვიჩენთ უნარს და ჩვენ ენერგიას და ძალას მოვახმართ სასოფლო მეურნეობის აღდგენას, რათა დავსძლიოთ შიმშილობა. ჩვენ მხურვალე და ძმურ სალამს უძღვნით ჩვენს მოძმეებს მუშებს და გლეხებს, რომელნიც გამოიჩენენ აქტივობას საბჭოთა რესპუბლიკებში, მეურნეობის აღსადგენათ. კრულვა და წყევლა იმათ, ვინც გაჩხდარა ლაქიათ მოწინააღმდეგე ბანაკის, ზიზღი მათ.

მეორე საკითხის შესახებ ამხ. თ. ტაბალუას მოხსენების შემდეგ, კრებას გამოაქვს ერთხმათ შემდეგი რეზოლიუცია:

ის ნაბიჯები და უკანასკნელი ცდა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიისა, მენშევიკებისა, დაშნაკელებისა და მუსავატელების, რომელთაც შეუკრავთ კავშირი, რათა მუშათა და გლეხთა ხელისუფლება დაასამარონ, დაიმსხვრევა ჩვენ სასტიკ წინააღმდეგობაზე. ისინი ვერ აღადგენენ თავიანთ დრომოჭმულ რეჟიმს.

დღეს ერთხელ და სამუდამოთ იცოდენ, რომ ჩვენ ჩვენს სისხლით მოპოვებულ მუშათა ხელისუფლებას არ დავთმობთ როგორათაც არ უნდა დაგვიჯდეს.

ჩვენ მზათა ვართ ერთხელ და სამუდამოთ დაუპირდაპიროთ მათ ჩვენი მუშური და გლეხური ძალა და უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დავიცვათ სისხლით მოპოვებული თავისუფლება.

მხურვალე და ძმური სალამი იმ მუშებს და გლეხებს, რომელთაც შეუგნიათ ისტორიული აუცილებლობა და ყოველ სახიფათო წუთებში და დგნენ კომუნისტურ ინტერნაციონალურ დროშის ქვეშ.

გაუმარჯოს მე 3 ინტერნაციონალს, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და მათ ხელმძღვანელებს: ლენინს, ტროცკის, ზინოვიევს, ცხაკაიას და სხვებს.

კრება მოითხოვს გაზეთის საშუალებით ეცნობოს ეს მუშურ და გლეხურ მთავრობას.

კრების თავმჯდომარე ლუკა ღვამუჩავა.

ბიბლიოგრაფია

სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი „ქურა“

(გამოცემა საქართ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციისა, ქ. თბილისი, 1922 წ. 18 მარტი, № 1)

საქართველოში ჟურნალ „ქურა“-ს გამოსვლით დიდი ნაბიჯი გადასდგა პროლეტარულ - რევოლიუციონურმა პოეზიამ. ჟურნალ „ქურა“-ს გარშემო შემოკრებილია მუშაკნი, რომელნიც გამოხატავენ პროლეტარიატის რევოლიუციონურ სულის კვეთებას.

თანამედროვე პროლეტარულ პოეტების სულისკვეთებას ახასიათებს რევოლიუციონური ენტუზიაზმი ბრძოლისა დახავსებული კაპიტალიზმის დასამარებისაკენ მიმართული.

მაგრამ პროლეტარიატი მეტოქის შურისძიებას უპირდაპირებს ბრძოლას გამთბარს ნათელი მრწამსის შუქით.

გაჭედილია რწმენა ცხოველი
ბრძოლის ცხელ გრდემლზე, გრდემლზე მთიების,
და წინსვლისათვის სიტყვა ყოველი
დღეს კარნახია შურისძიების!
(ი. ვაკელი).

ამხ. ზომლეთელი გრძნობს, რომ ჯერ სუსტია პირველი ნაბიჯი, მაგრამ დედისთვის შვილის შერყევი და გაუბედავი პირველი ნაბიჯი უფრო ძვირფასია ვინემ გამოჩენილი ბალერინის პლასტიური მოძრაობა, და პროლეტარიატი ხომ დედაა ჟურნალ ქურის გარშემო შემოკრებილი ძალებისა. ნ. ზომლეთელი თვის ლექსის მეორე ტაეპში გვეუბნება:

რა უყოთ, რომ წელთა სვლით ჯერ ყმაწვილი ხარ
შორს წარსულის სამკვიდრო გვაქვს და ანდერძი,
ტანჯვისა და შრომის ბაღში აღზრდილი ხარ
ტკბილ მომავლის ხელთ გიპყრია ყოფნის ღერძი.

ჟურნალში „მეს“ ადგილი არა აქვს. გაისმის მხოლოდ მძლავრი და მომხიბვლელი „ჩვენ“, რომელიც ახასიათებს რევოლიუციონურად დარაზმულ პროლეტარულ რიგებს, კოლექტივისტურ ფსიქოლოგიის მატარებელთ.

მშვენიერია ოქტომბრის ღამის სურათი, რომელშიდაც პროლეტარიატი გამოდის ქუჩაში და ბოლოს უღებს კაპიტალისტების ბატონობას, რასაც ასე მომხიბვლელად გადმოგვცემს პოეტი კ. სამსონიძე:

გოლიათებმა შებოჭეს მიწა,
გადაავიწყა ოქტომბრის ღამეს
სიტკბო სიამე, და დააფიცა,
რომ ემსახუროს მებაირახტრეს.

პროლეტარიატი სჭედავს მჭიდრო კავშირს მშრომელ გლეხებთან, რასაც ასე მდაბიო ენაზე გადმოგვცემს მუშა პოეტი გ. შინატეხელი.

რგოლი რგოლზე გადავგრიხოთ
ჩამოვასხათ საყვარი,
რათა გლეხმა ხნას და თესოს
მკერდს იდინოს ოფლის ღვარი.

პროლეტარიატი იმედიანის თვალით შეჰყურებს თვის მომავლის შვილებს:

ჩვენ თუ ვერ გავწვდით შევქმენით ცოტა
ახალგაზრდები შექმნიან მრავალს,
მაშ გამარჯვება დაგვილოცნია—
სალამი ჩვენი ახალ მომავალს.
(აკ. აკოფიანი).

ყველა ზემო აღნიშნული ხაზები არის ასახვა პროლეტარიატის რევოლიუციონური სულისკვეთების, მაგრამ ამის გარდა თქვენ ჟურნალში შეხვდებით ინდუსტრიალურ პროლეტარიატის შრომის სურათებს რომელსაც პოეტურად გადმოგვცემს ს. ეული.

კვამლიან კედლებში ცეკვაა ხაზების
სხივების ფერებათ და ელვის გველებათ,
ქანგიან ჰაერში სუნთქვაა რკინების
ელვარებს ქურაში ფოლადი შანთებათ, და სხვ.

ალ. ჩხეიძის მიერ განცდილი ქარხნის სურათი გამომსახველია მუდამ მქშინავ და დაუღალავ შემომქმედ მოტორებისა და საერთოდ ქარხნის სურათისა:

ჭანგი და კვერი, ქურა და ჩარხი
ცეხლის თვალები მარწუხთა შორის,
რკინის სურვილი, ორთქლისა თალხი
ქვაბების ოხვრა სტვენა მოტორის.
და სხვ.

ჟურნალში პოეზიის დარგს ამშვენებს აგრეთვე ნათარგმი ვ. ალექსანდროვსკის „დედა.“

პროზა ჟურნალში მოისუსტებს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში პლეტნევის „გაზაფხულის სიმღერას“ რომელიც ზედმიწევნით მხატვრული ნაწარმოებია და საუკეთესოთ ნათარგმნი ი. ლისაშვილის „თავიც დაიღუპა“ (სურათი გურიის ცხოვრებიდან) აღსანიშნავია, როგორც ორიგინალური ნაწარმოები მუშა მწერლისა ავტორი უსათუოდ დაჯილდოვებულია მხატვრული ნიჭით, რომელსაც ესაჭიროება ტეხნიკის შესწავლა, ი. ლისაშვილი სტამბის მუშაა, რომელსაც შესწავლილი აქვს ცხოვრება არა თეორეტიულათ, ის თვით შრომის შვილია, რომელმაც გამოსცადა ცხოვრების ჭირ-ვარამი და ციხე-მათრახები ყოფილი მთავრობისა მის ჯალათებთან ბრძოლაში. და თავის პატარა სურათში მას გადმოცემული აქვს მებრძოლის სულის კვეთებანი.

აღსანიშნავია პრინციპიალური, კრიტიკული წერილებიდან რ. კალაძის „ქართული მწერლობა“, ქუთათელაძის „პროლეტარული პოეზია“, ა. ბოგდანოვის „პროლეტარიატი და ხელოვნება“. და სხვ.

ჟურნალში დართულია ნოტებით მჭედლის სიმღერა.

ჟურნალის ყდას ამშვენებს ი. თოიძის ნახატი პოეტი ქურასთან.

საერთოთ ჟურნალი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს და მას სიხარულით უნდა მიეგებოს საქართველოს შეგნებული მუშა. ჟურნალის ტეხნიკური მხარე უსათუოდ მოიკოჭლებს, მაგრამ იმედი უნდა გამოითქვას, რომ შემდეგ ნომრებში ეს დეფექტი თავიდან აცილებული იქნება.

ჩვენ უნდა მივიღოთ ჟურნალი „ქურა“ როგორც პირველი ნაბიჯი ქართველ პროლეტარულ მწერლების შემოქმედებისა, ვუსურვოთ მას გაუმჯობესება.

ა. ხევდიშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 7.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი საქართველოს დამშეულთა სასარგებლოთ დროებითი ხარკის დაწესების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყოველგვარი საქონელი, რომელიც შემოტანილ იქნება საზღვარ-გარეთიდან საქართველოში ან საქართველოდან გატანილი,—ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, დაიბეგროს დამატებითი ხარკით თანახმად ამა დადგენილებასთან დართული ნუსხისა.

შენიშვნა: ამა დადგენილების პირველ (1) მუხლში აღნიშნულ დამატებითი ხარკისაგან განთავისუფლდება დამშეულთა დამხმარე საზოგადოებრივი ორგანიზაციები სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.

2. საზღვარ-გარეთ მიმავალ თვითეულ პირს გადახდეს, არსებული გადასახადის გარდა, ასი ათასი 100.000 მანეთი დამატებით.

3. დაიბეგროს ბანკების მიერ წარმოებული ყველა საქტივო ოპერაციები 6 პროცენტით წლიურად, ხოლო ფულის გადაგზანვის ოპერაციები 10 მან.—თ თვითეულ 1000 მან.—ზე.

4. დაწესებულ იქნეს გადასახადი 10 პროცენტის რაოდენობისა ღვინის აქციზის თანხიდან.

5. დაიბეგროს შამპანიური და პორთვეინი 25.000 მან. რაოდენობით, ბოთლზე სპეციალური მარკების საშუალებით.

6. დაიბეჭდოს თამბაქოს ნაკეთობა მისი ღირებულების 1 პროც.-ის გადასახადით.

7. შემოღებულ იქნეს სპეციალური საფოსტო მარკები შემდეგი ღირსებისა:

ა) უბრალო ბარათებისათვის 1000 მ.

ბ) დაზღვეულთათვის—3000 მან.; ყოველგვარი ამანათებისათვის—5000 მან.; თითო დეპეშისათვის—10.000 მან.

8. ფულის გადაგზავნისათვის ერთი მილიონი მანეთის ზევით გარდახდეს გამგზავნელს გადასაგზავნი თანხის 1 პროცენტი.

9. ყოველი აქტი, რომელიც შესრულებულ იქნება სახალხო ნოტარიუსთან, და აგრეთვე მის მიერ შემოწმებული დოკუმენტი, დაიბეგროს დამატებით არსებული სადერბო გადასახადის 10 პროცენტით.

10. დაევალოს რესპუბლიკის ყველა ხაზინას გაუხსნას დეპოზიტი დამშეულთა დამხმარე ადგილობრივ კომიტეტებს.

11. დაევალოს ყველა დაწესებულებას, რომელიც ამა დადგენილების თანახმად, კუთვნილებისამებრ აწარმოებს დამშეულთა სასარგებლოთ ფულის აკრეფას, დაუყონებლივ შეიტანოს აღებული თანხა ადგილობრივ ხაზინაში დამშეულთა დამხმარე ადგილობრივი კომიტეტის დეპოზიტად, ხოლო ცნობები თვითეული კვირის განმავლობაში შემოსული თანხის შესახებ წარუდგინოს საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტს.

12. მთელი შეკრებილი თანხა გადაცემულ იქნეს საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტის განკარგულებაში.

13. ამა დადგენილების განსახორციელებლად ფინანსთა სახალხო კომისარს უფლება ეძლევა გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები.

14. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ოკუჯავა.**

ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილე **ბიბინეიშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1922 წ. აპრილის 9
ტფილისი—სასახლე.

ნუსხა

საზღვარ-გარეთიდან საქართველოში შემოტანილ და საქართველოდან გასატან საქონლისა, რომელიც უნდა დაიბეგროს დამატებითი ხარკით საქართველოს დამშეულთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ყოველგვარი საქონელი, რომელიც შემოტანილ იქნება საქართველოში საზღვარ-გარეთიდან ან საქართველოდან გატანილი დაიბეგროს შემდეგი რაოდენობის ოქროს ვალიუტით:

1. ჯგუფი—1 | 4 კაპ. ფუთი—ბრუტო; სატარიფო მუხლები, 1, 2, 3, 4, 22, 23, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 51, 65, 66, 69, 70, 71, 72, 73, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 138. ამ ფჯგუფში შედის: სურსათ-სანოვაგე, მინერალური სამკურნალო წყლები, მარილი, თიხისა და ქვის მასალა, ცემენტი, ქანსელი (ასბესტი), თაბაშირი (გიპსი), მინქაფა (პემზა) და სხვა ნახშირის ნაწარმოები, მცენარისა და მინერალური, სათბობი, ფისი და მისი პროდუქტი, სკიპიდარი, სამყე (კაუჩუკი) ნედლად, ლითონისა და მინერალური მადანი, და ნავთის ზოგიერთი პროდუქტი.

შენიშვნა 1: ნავთის პროდუქტებიდან (მუხ. 85) დაიბეგროს 1 | 4 კაპ. ბენზინი და ყოველგვარი მინერალური ზეთი;

2: კეროსინი (მუხ. 85) არ დაიბეგრება;

3: შავი-ქვა (მუხ. 138) არ დაიბეგრება.

2. ჯგუფი—1 კაპ. ფუთი—,ბრუტო; სატარიფო მუხლები: 25, 26, 74, 75, 85, 179, ამ ჯგუფში შედის: საფუარი, სვია და მისი მანარი (ექსტრაქტი), თიხის ნაწარმოები და სხვა და სხვა ქაშანურის (ფაიანსის) ჭურჭელი, ნავთი და მისი პროდუქტი, გარდა ბენზინისა, მინერალური ზეთისა და კეროსინისა და სართავი მასალა.

3. ჯგუფი—2 კაპ. ფუთი—ბრუტო; სატარიფო მუხლები: 5, 6, 7, 9, 10, 11, 52, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 114, 115, 116, 117, 118, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 139, 140, 141, 142, 143, 144, 145, 146, 147, 173, 174, 175, 190, 191. ამ ჯგუფში შედის: ბოსტნეულობა და ხილი, ცვილი (წმინდა სანთელი), ხე ტყის მასალა და მისი პროდუქტი, ქიმიური მასალა, ლითონი, ავტომობილი, ეკიპაჟი, ვაგონი, პლატფორმა, გემი, ნავი, ბაგირი (კანატი) თოკი, ბადე და ტომრები.

4. ჯგუფი—3 კაპ. ფუთი—ბრუტო; სატარიფო მუხლები: 27, 28, 29, 31, 53, 76, 77, 78, 88, 134, 135, 136, 138, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 160, 161, 162, 163, 164, 166, 167, 168, 169, 176, 177, 180, 181, 182, 215, 2—3, 216, 217, 218. ამ ჯგუფში შედის: მაგარი სასმელები, ღვინო, ძმარი, ლუდი, სანთელი, ფაიფურისა, ლითონისა, მინისა და სამყის (კაუჩუკი) ნაკეთობა, საღებავი მასალა, ხელის ინსტრუმენტი, მანქანა, ყოველგვარი აპარატი, სასწორი, სტამბის მანქანა და მისი მოწყობილობა, აბრეშუმის პარკი, ნედლი აბრეშუმი და სხვა მატყლი, ბამბა, ბავშვის სათამაშოები, საგალანტერიო საქონელი, საკანცელარიო ნივთები, კოლექციისა და მუზეუმისათვის სხვა და სხვა ნაწარმოების ნიმუშები, საწერი ქაღალდი და ქაღალდის დასამზადებელი მასალა.

5. ჯგუფი—4 კაპ. ფუთი—ბრუტო; სატარიფო მუხლები: 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 211, 1202, 183, 184 ამ ჯგუფში შედის: კონსერვები, სოკო, დოგვი, ყავა, კაკაო, ჩაი, თამბაქო ფურცლად, სარეცხი საპონი, ბამბისა, სელის და სხვა ძაფისებური სართავი მასალა.

6. ჯგუფი—5 კაპ. ფუთი—ბრუტო; სატარიფო მუხლები: 21 2—4, 45, 47, 48, 49, 50, 54, 55, 56 2—3—2 და 5, 57, 112, 113, 157, 158, 159, 170, 171 172, 186, 187, 188, 189, 192, 193, 194, 198, 199, 200, 201, 202, 205. (ნაქსოვი მატყლისა, ბამბისა და სხვა უბრალო მასალისაგან) 209, 210, 211, 212. ამ ჯგუფში შედის: თამბაქოს პროდუქტი, თმა, ჯაგარი, ბუმბული, ვეშაპის ულვაში, და მისი ნაწარმოები, ღრუბელი, ტყავი დამზადებული და დაუმზადებელი, ბეწვეული (ბეწა) უბრალო, ტყავის ნაკეთობა, ოპტიური ხელსაწყო, საათი, და მისი ნაწილები, ფარმაცევტული ნაკეთობა და დამზადებული წამალი, ნემსი, დანა-ჩანგალი, სამუსიკო ინსტრუმენტი, მატყლის ნართი, ბამბისა, შალისა და ტილოს ნაქსოვი, ტანსაცმელი, ქუდი, ქოლგა და ფოლაქი.

7. ჯგუფი—10 კაპ. ფუთი—ბრუტო; სატარიფო მუხლები: 24, 56—1, 185, 203, 204, 206, 207, 208, 213, 214, 215—1, ამ ჯგუფში შედის: ტკბილეულობა, ძვირფასი ბეწვეული, აბრეშუმის ნართი, ხალიჩა, ფესკი, ვუალი, ბახთა (კრუჟევი), ნაქარგი, ბუმბული, ფრთა ძვირფასი ხელოვნური ყვავილები, მინის მარგალიტი და ძვირფასი სასამკაულო ნივთები.

8. ჯგუფი—20 კაპ. ფუთი—ბრუტო; სატარიფო მუხლები: 119 1—3, 148 4—5—6—7, (გირვანქა ბრუტო), 195, 196, 197, 205. (აბრეშუმის ნაკეთობა). ამ ჯგუფში შედის აბრეშუმის ნაკეთობა, პარფიუმერია, ოქროთი და ვერცხლით ნაკერი.

9. ჯგუფი—2 მან. ფუთი—ბრუტო; სატარიფო მუხლები: 63. ამ ჯგუფში შედის: სადაფი, ქარვა და სხვ.

11. ჯგუფი—5 მან. გრონქა—ბრუნტო; სატარიფო მუხლები: 67, 148 1—2, ამ ჯგუფში შედის: ძვირფასი და ხელოვნური ქვა და ოქროს ნაკეთობა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ოკუჯავა.**

ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილე **ბიბინეიშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. **ხალარიძე.**

სარედაქციო კოლეგია.

ხელის მომწერთა საყურადღებოდ

სახელმწიფო გამომცემლობა აცხადებს გაზეთ „პრავდა გრუზიის“, „კომუნისტის“, „კარმირ ასტღ“-ის და „ახალი აზრის“ ხელის მომწერთა (სახელმწიფო დაწესებულების, პარტიული და მუშათა ორგანიზაციების და კერძო პირთა) საყურადღებოდ, რომ შემდეგში გაზეთებს მიიღებენ ისინი მხოლოდ ხელის მოწერის ფასის გადახდის შემდეგ. იმ დაწესებულებებს და პირთ, რომელთაც გასული თვეებისთვის გადასახადი არ შემოუტანიათ

გაზეთების მიწოდება უსათუოდ შეუწყდებათ.

ხელის მოწერა და ფულის მიღება გასული თვეებისთვის სწარმოებს წინასწარ სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის-მელიქოვის ქ. № 5).

სახელმწიფო გამომცემლობისაგან

განცხადება

ცხადდება ყველა პარტიულ გაზეთების „კომუნისტის“, „პრავდა გრუზიის“ და „კარმირ ასტღ“-ის ხელის მომწერთა საყურადღებოდ, რომ პირველ აპრილიდან ხელის მოწერა მიიღება ახალი ფასით.

პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის ხელის მოწერა ადგილზე ქალაქში სახლში მიუტანელად თვეში ეღირება 120.000 მან. შინ მიტანით 140.000 მ. პროვინციაში 150.000 მან.

ყველა სხვა დაწესებულებისა და კერძო პირთათვის ხელის მოწერა ადგილზე შინ მიუტანელად ქალაქში ეღირება თვიურად 180,000 მან. შინ მიტანით 200,000 მ., პროვინციაში 240.000 მან.

ცალკე ნომერი ქალაქში ეღირება 10,000 მ. პროვინციაში კი 12,000 მ.

ხელის მოწერა დროებით მიიღება სახელმწიფო გამომცემლობაში ლორის-მელიქოვის ქ. № 5 ამხ. ზუმბაძესთან.

განცხადება

ქ. ტფილისის კომუნალური მეურნეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ყველა ქალაქის მიწები, რომელიც მოხნული და დათესილია ქალაქის ნება დაურთველად მოქალაქეების მიერ, ვალდებული არიან ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოცხადებისა აიღონ ნებართვა საადგილ-მამულო განყოფილებაში (თავისუფლების მოედანი ყოფილი ქალ. თვითმართველობის შენობა ოთახი № 52) წინააღმდეგ შემთხვევაში ის მიწები ჩამორთმეული იქნება უსასყიდლოდ ქალაქის სასარგებლოდ.

კომუნალური მეურნეობა.

განცხადება

ცხადდება საყურადღებოდ

სახელმწიფოებრივ მომარაგებაზე დარჩენილ მჭამელთა, აგრეთვე სხვებისა, რომელნიც პროდუქტებს სახალხო სასურსათო კომისარიატის საწყობებიდან, ან მის მოიჯარადრეებისაგან იღებენ, რომ ყოველი აქტი ამა თუ იმ პროდუქტზე შედგენილი უნდა იქნეს იმ ადგილას, საიდანაც პროდუქტს არიგებენ. ყველა ის აქტი, რომელიც შედგენილ არ იქნება იმ ადგილას, საიდანაც პროდუქტები რიგდება, განხილული არ იქნება სახალხო სასურსათო კომისარიატის მიერ.

სახალხო სასურსათო კომისარიატი.

(2—2)

განცხადება

ცალკე კავკასიის ლაშქრის სასურსათო მომარაგების სამმართველოსთან (საპიორის ქ. № 26)

1922 წლის 20 აპრილისთვის, დღის 12 საათზე, ოპერატიული დროით დანიშნულია: როგორც პირადი, ისე დახურული განცხადებების შემოტანით

ვაჭრობა

ჯარის სურსათით მომარაგების სამმართველოსათვის, თვეში 6,000 ფუთი სადი ხორცის მოწოდების შესახებ. ხორცის მოწოდების ვადა გრძელდება 1922 წ. 1 მაისიდან 1 აგვისტომდე. ჩაბარება შეიძლება 50 პროც. ძროხის და 50 პროც. კამეჩის ხორცის. ჩაბარების ადგილია—თბილისის სასაკლაო.

დახურული განცხადებები შეტანილ უნდა იქნას ჯარის სასურ. მომ. სამმართველოს სავაჭრო კომისიაში არა უგვიანეს 20 აპრილის 12 საათისა წარწერით: „ხორცის მიწოდების შესახებ 20 აპრილის ვაჭრობისათვის“. აღნიშნულ საათზე უფრო გვიან შეტანილ განცხადებებს სავაჭროდ არ დაუშვებენ.

ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარადგინონ ჯარის სას. მომ. სამმართველოს სალაროში ბეთ 10 მილიონი მანეთი, რომელიც ხელშეკრულების დადების შემდეგ უნდა შევსებულ იქნას მოწოდების ღირებულების საერთო ჯამის 10 პროც.-მდის ფულით ან უძრავი ქონებით—თანახმად სახელმწიფო იჯარის და მიწოდების შესახებ დებულებისა, რომელიც გამოქვეყნებული იყო „ეცეკ-ის იზვესტიაში“ 1921 წლის 14 ოქტომბერს № 230—1373 ით.

უფრო ვრცლად საკონდიციო პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე გარდა კვირა დღეებისა 8 საათიდან—2 საათამდე „უპროდარმი“-ს საზზად განყოფილებაში.

(2—1)

[illegible] 10.000

საქართველოს კომუნისტური [illegible]